ივნისი
1933 წ.
№ 90

საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
JUIN
1933—№ 90

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

PIERRE RENAUDEL

პიერ რენოდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაქტი და საქართველო

16 და 18 მაისს «დიდი დღეები» იყო, როგორც იტყვიან, საფრანგეთის პალატაში. ეს ორი სხდომა მარტო თავდაუსხმელობის პაქტს მოანდომეს და ბოლოს რეზოლიუციაც მიიღეს ერთხმათ, ზოგიერთის თავშეკავებით.

მხედველობაში მისაღებია ორი გარემოება: ფორმალური და პოლიტიკური. ნოემბერში ხელმოწერილი პაქტი თებერვალში შევიდა ძალაში, ე. ი. მას პარლამენტის რატიფიკაცია არ ეჭივრებოდა. მაშასადამე, დებატებს პალატაში უფრო თეორიული ხასიათი ჰქონდა, ვინემ პრაქტიკული, და რეზოლიუციაც მხოლოდ პაქტის უკანა რიცხვით მოწონებას შეიცავდა.

მეორე გარემოება უფრო მნიშვნელოვანია—ეს ჰიტლერის გამარჯვება, რამაც დააჩქარა ძალაში შესვლა. არა ერთხელ შევჩერებულვართ ამ საგანზე და ეხლა მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ რადიკალების წრეებში თითქო სერიოზულათ სწამთ მოსკოვის ჩამოშორება ბერლინისგან და ამაზედ თავის საგარეო პოლიტიკის აშენება.

სხვაფრივ გაუგებარი იქნებოდა მათი ბელადის ერიოს პაქტის ასეთი მხურვალე გამოქომაგება პალატის ტრიბუნიდან. ვინც უსმინა მას, უთუოთ მიიღებდა შთაბეჭდილებას, რომ ორატორი არ ხუმრობდა, პირიქით, ცდილობდა რაც შეიძლება მეტი სითბო გამოეჩინა კრემლის მედროვეთა მიმართ. მართალია, ერიო პაქტის ხელმომწერია, მაგრამ იმ ზომამდე გატაცება, რომ ბრესტ-ლიტოვსკი გაემართლებინა,—ამას არავინ ელოდა და, დანეთ, ერთი ტაშიც არა ხვდა მისი სიტყვის ამ ადგილს.

რაც არავის გაკვირვებია—ეს ტორესის მიერ გათეთრება იმავე ბრესტ-ლიტოვსკის, ერიოზე ადრე. რა თქმა უნდა, სხვა დროსა და გარემოებაში ადგილი არ ექნებოდა ისეთ სკანდალს, როგორიცაა ტორესი მომხსენებლად! თუმცა შემამსუბუქებელ გარემოებად ისიც უნდა ჩაითვალოს ალბათ, რომ ტორესს სწყუროდა პირველი თავისი გამოსვლა (ახალი დეპუტატია) სწორეთ პაქტისათვის მიეძღვნა. და ეს ხომ გათელილი გზაც იყო მისთვის. მთელი წლები მოსკოვის ინტერესების დამცველი სასამართლოში, ის უკვე საკმაოთ მომზადებული იყო ამ როლისთვის პალატაშიც. უეჭველია, სხვა ვინმე მის ადგილზედ თავს შეიკავებდა, მაგრამ გვაგონდება რენოდელის ერთი ფრაზა, ტორესისკენ გადასროლილი ქართველების პროცესზედ: პატიოსნებაც კაი საქონელიაო.

მერმე როგორ ამართლებდენ ბრესტ-ლიტოვსკს ერიო და ტორესი? აქაო და, დიდი ომის დროს ტროცკიმ მიმართა საფრანგეთის ელჩს ნულანს დახმარებისთვის—რჩევით და იარაღით—, მაგრამ მან ყურიც არ გაიბერტყა და ბოლშევიკები იძულებული გახდენ «ფინთ ზავზედ» ხელი მოეწერათო. ასე მარტივათ აქვთ საქმე წარმოდგენილი! ცნობილია, ტროცკიმ თავი შეიკავა, მაშასადამე, წინაამდეგ არ მიუცია ხმა, როცა ლენინმა გაიყვანა პარტიულ ცე-კაში ბრესტ-ლიტოვსკის ზავი; ისიც ცნობილია, რომ პრინკიპოს გმირი ერთგვარ ფრონდას აწარმოებდა ლენინის წინაამდეგ და არაა გასაკვირი, თუ საფრანგეთის ელჩს მიმართა. მაგრამ არავინ კითხულობს, და ეს კითხვა არც კი დაუსვამთ ფრანგ ორატორებს: შეეძლო თუ არა რუსის ჯარს, თუ გინდ საფრანგეთის დახმარებით, გამაგრებოდა კაიზერის ჯარს? არა, რა თქმა უნდა, ამას სამხედრო ავტორიტეტები, თვით ბოლშევიკებიც არ უარყოფენ.

რატომ? იმიტომ რომ რუსის ჯარების რღვევა და დემორალიზაცია კიდევ ოქტომბრის გადატრიალებამდე მოხდა: და თვით გადატრიალება განა შესაძლებელი იქნებოდა, რომ ჯარები თვითნებურათ არ დაძრულიყვენ ფრონტიდან? მაშასადამე, იმის დაშვება, რომ თებერვალს 1918 წელს, ე. ი. ოქტომბრიდან ოთხი თვის შემდეგ, შესაძლებელი იყო რუსეთის ფრონტის აღდგენა, თავის მოტყუებაა, სულ ერთია, ნებით თუ უნებლიეთ.

ჩვენ არ ვიტყვით, რომ რუსეთის ფრონტის დაშლა მარტო ბოლშევიკებს მიეწერება—მიზეზი ბევრი იყო და არც ვეხებით მათ—, მაგრამ ერთი მათგანი, და არა-უკანასკნელი, რომ ბოლშევიკების დამრღვევი მუშაობა იყო ჯარში, ამას ვერავინ უარყოფს. მარტო მათი ლოზუნგი—დაძმობილდით მტრის ჯართან—რადა ღირს იმის გასაგებათ, თუ რატომ გაატარეს ლენინი და კომპანია დაპლომბილ ვაგონში გერმანიით პეტროგრადისკენ.

მაშ ქართველები სულელები ვყოფილვართ, როცა ოსმალეთის სარდლობამ წინადადება მოგვცა—გამოგზავნეთ დელეგატები ბრესტ ლიტოვსკშიო, ჩვენ უარი შევუთვალეთ, კავკასიის სახელით! ჩვენ არ გვყავდა ტფილისში არც საფრანგეთის და არც სხვა სახელმწიფოს ელჩი, ვიყავით განმარტოებული, მოწყვეტილი დასავლეთს, ჩაკეტილი სრუტეებით და უკნიდან კიდევ ოსმალეთის ფრონტიდან მოზღვავებული ჯარი განადგურებას გვემუქრებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. ჩვენ არ ვიცით, როგორ აფასებენ ერიო და ტორესი მაშინდელ საქციელს, ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენ არ ვნანობთ მას.

მაგრამ ჩვენ არა ვართ მოწოდებული სავსებით საფრანგეთის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას მსჯავრი დავსდოთ, ვიცით ჩვენი ადგილი და თუ ვეხებით გაკვრით, მარტო იმიტომ, რომ პაქტი საქართველოსაც ეხება, რაიცა კიდეც აღნიშნეს ორატორებმა პალატაში, და მათ სიტყვებს მკითხველი ქვევით გაეცნობა.

პირველათ კომუნისტმა დორიომ ილაპარაკა საქართველოზე, და, რა თქმა უნდა, მის საელჩოს შეუტია. მან განიმეორა მოსკოვის მიერ დაკვეთილი ფრაზა: რას იტყოდით, ბერლინში რომ ელზას-ლოტარინგიის საელჩო არსებობდესო! დორიო რომ «კომინტერნის ელჩი» არ იყოს, როგორც მას უწოდა საგარეო მინისტრმა პოლ ბონკურმა, ადვილათ დაინახავდა განსხვავებას: ელზას-ლოტარინგია გერმანიას არ უცვნია, ისე როგორც საფრანგეთს, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, მაშასადამე მის საელჩოზე ლაპარაკი ზედმეტია. მეორეს მხრით, მოსკოვის სილაჩრე იმაში გამოიხატება, რომ მან არამც თუ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, არამედ დღესაც დაინახავთ მის კანონთა კრებულში საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულებას,—მაშასადამე, ის ვერ ბედავს საქვეყნოთ სთქვას, რომ საქართველო დამოუკიდებელი არ არის.

დორიოს უკმეხობა უფრო შორსაც მიდიოდა: საქართველო კმაყოფილია, იქ სიწყნარეაო. რომელ სიწყნარეზეა ლაპარაკი—სასაფლაოს სიწყნარეზე? რამდენია დახვრეტილი? რამდენი ხის ჩეკის ჯურღმულებში? რამდენია გადასახლებული?

სოციალისტმა მუტემ წინადადება მისცა კომინტერნის ელჩს: მიეცით ქართველ ერს საშუალება სთქვას, რა ურჩევნია—თავისუფლება თუ ყმობაო. დორიო სდუმდა, მას არ მოსვლოდა მოსკოვიდან, რა უნდა ეპასუხნა. მუტემ დაანახვა პალატას, როგორ იცნეს სახელმწიფოებმა საქართველო, როგორ ვერაგულათ შეუსია მას მოსკოვმა წითელი ჯარი, და დაბეჯითებით მოსთხოვა რესპუბლიკის მთავრობას შექმნას ქართველ ლტოლვილთათვის განსაკუთრებული სტატუტი.

ერიო, ავტორი შესანიშნავი მეთაურისა—«აღმოსავლეთის ბელგია» ანუ საქართველო, ცხადია, უყურადღებოთ არ დასტოვებდა მას და ხმამაღლა აღნიშნა როგორც ქართველი ერის ტრადიციული მეგობრობა ფრანგ ერისადმი, ისე ფრანგთა «ულმესი პატივისცემა» ქართველ ერისადმი. ნუ დაივიწყებთ, ერიო ის სახელმწიფო მოდვაწეა, რომელმაც იცნო 1924 წ. საბჭოები და, მიუხედავათ ამისა, საქართველოს საელჩო ხელუხლებლად დასტოვა.

მაგრამ ეს არაჩვეულებრივი დიპლომატური აქტი მოხდა სოციალისტურ ფრაქციის ენერგიულ ჩარევით. სწორეთ მან მიმართა ერიოს ვრცელი და დასაბუთებული წერილით საქართველოს და მის საელჩოს დასაცავათ. მან მეტიც ქნა: მიანდო თავის წევრს რენოდელს აეღო თავის თავზე ზრუნვა, თვალყური ედევნებია წერილში გამოთქმულ აზრების განაღდებისათვის. მას აქეთ რენოდელს მეტ-სახელად «საქართველოს ვექილი» დაერქვა! საითკენაც არ გაიხედავდით, პალატაში თუ მთავრობაში, საგარეო სამინისტროში თუ სასამართლოში, თქვენ წააწყდებოდით რენოდელს, აღგზნებულს, მჭერმეტყველს, დაუღალავს და პირველ სიტყვებიდან მიხვდებოდით, რომ თქვენს წინაშე სდგას არა ვექილი, არამედ საქართველოს თავდადებული მეგობარი, მოამაგე, ჭირისუფალი.

რენოდელის გამოსვლას პალატაში—და ეს არ იყო, რა თქმა უნდა პირველი—შეგვიძლია ისტორიული ვუწოდოთ. აქ მსმენელის ყურადღებას იქცევდა როგორც შინაარსი, ისე კიდევ უფრო ფორმა, კილო, ხმა... ამ ხმაში ჩვენ მოგვესმა ქართველი ერის დღევანდელი ტრაღედია.

რენოდელმა გვიწოდა «პატარა ერი», ის მართალი იყო, მაგრამ ჩვენი საქმე ისე დიდია, ისე სპეტაკი, ისე სამართლიანი, რომ «დიდი რუსეთი» ვერ ბედავს საასპარეზოთ გამოსვლას «პატარა საქართველოსთან». სულგანაბული დარბაზი თანაგრძნობით უსმენდა ჩვენს მეგობარს. გვაგონდება მემარჯვენე დეპუტატის ედუარდ სულიეს კერძო მუსაიფში ნათქვამი: როცა საქართველოს ეხება კითხვა, ჩვენს შორის დავა არაა, გვავიწყდება პარტია, კლასი, ვართ ერთსულოვანი მის უფლებათა დაცვაში! ამ რიგათ, ფრანგის ერი, კომუნისტთა გამოკლებით—იგულისხმება, საქართველოს უანგარო მეგობარია.

სწორეთ ამაზედ დაეყრდნო რენოდელი, როცა სთქვა: წინანდელ საფრანგეთს არ უცვნია საქართველოს ანექსია მეფეთა მიერ, რესპუბლიკანური საფრანგეთი არ იცნობს საქართველოს ანექსიას საბჭოთა მიერ.

უფლებას ვერ მოსპობს ვერც ძალადობა, ვერც დრო—დასძინა ჩვენმა მეგობარმა—და, როგორც მას სჩვევია, მაშინვე ერთი დადებითი დასკვნა გააკეთა, რესპუბლიკის მთავრობის სახელმძღვანელოთ: საქართველოს დამოუკიდებლობა შეიძლება გამოვიდეს თვით მოსკოვთან შეთანხმებიდანო. ეს ჩვენც გვჯერა.

თუ საფრანგეთი და სხვა დიდი სახელმწიფოები დიპლომატიურის გზით მოსთხოვენ მოსკოვს ქართველ ერის გათელილ უფლებათა აღდგენას. ამის ნიადაგს, თუ გინდ, ის რეზოლუციებიც იძლევა, რომელიც ერთა ლიგამ მიიღო ერთხმათ, მაშასადამე, 50-ზე მეტ სახელმწიფოთა სახელით.

ჩვენ ვიცნობთ სტალინს, თვითონ ქართველს, მაშასადამე, თავის ერის გამცემს—, ის წინააამდეგი იქნება, იცის, რა მოელის თავის ქვეყანაში. მაგრამ პოლიტიკას ჰქმნის არა ცალკე პიროვნების თვითნებობა, არამედ არსებული პირობები და შესაძლებლობანი. საერთაშორისო აზრს და მთავრობათა გარკვევით გამოთქმულ სურვილს ვერც სტალინი გაექცევა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მისი რეჟიმი უფსკრულის წინა სდგას.

და ეს მით უფრო, რომ ქართველი ერი არ დასტოვებს, როგორც არ დაუტოვებია საუკუნეთა განსწვრივ, თავისუფლებისათვის ბრძოლას. დორიოს შეურაცხმყოფელი ფრაზა თითქო ქართველი ერი დამორჩილებოდეს თავის ხვედრს, მხოლოდ მოსკოვისადმი ყმობით აიხსნება, თორემ, როგორც ფრანგი, ის ვერ დაუშვებდა, რომ არსებობს დედა-მიწაზედ რომელიმე ერი, რომელსაც აქვს თავისი ისტორია, ცივილიზაცია, და ერთ მშვენიერ დღეს უარი ეთქვას თავის მე-ზე.

ქართველი ერი იბრძოდა და იბრძვის არა მარტო თავის უფლებისათვის, არამედ საკაცობრიო იდეალებისათვისაც. კომინტერნის ელჩმა ვითომ არ იცის, რომ სწორეთ საქართველოს შვილნი მიუძღოდენ რუსეთის დემოკრატიას, როცა მათ დაამსხვრიეს რომანოვების ტახტი; ხოლო ლენინის და ძმათა «გმირობა» იმაში გამოიხატა, რომ მათ მოსტაცეს გამარჯვებულ დემოკრატიას მოპოებულნი თავისუფლებანი და კაცჭამია დიქტატურა დაამყარეს.

საფრანგეთ-რუსეთის პაქტი და საქართველო

(საფრანგეთის დეპუტატთა პალატის 16 და 18 მაისის სხდომის ოფიც. სტენოგრაფიულ ანგარიშიდან)

ჟაკ დორიო (კომუნისტი): მეორე მომენტი, რომელიც არა ნაკლებ დელიკატურია, შეეხება საქართველოს საელჩოს არსებობას პარიზში. ამ თვის რვას, საქართველოს ელჩი პარიზში, ბ. ჩხენკელი, ოფიციალურად დაესწრო ბ. ადმირალ გეპრატის მიერ წაკითხულ მოხსენებას (გადაშლის ტრიბუნიდან «ჰუმანიტეში» მოთავსებულ სურათს). განა შესაძლებელია შევათავსოთ კეთილ-განწყობილებასთან საქართველოს საელჩოს არსებობა პარიზში, რომლის ელჩი უკვე აღარავის წარმოადგენს გარდა თავისი თავისა?

ჟორჟ სკაპინი. არის აგრეთვე აზერბეიჯანი და სომხეთი.

ჟაკ დორიო. ვინაიდან საკითხი აი როგორ სდგას. იქნებოდით თქვენ კმაყოფილი, რომ ჰიტლერის გერმანიამ ელზას-ლოტარინგიის საელჩო დაებინავოს ბერლინში? (ტაში კომუნისტების სკამებზე).

მე ვფიქრობ, რომ ამ საელჩოს წინააღმდეგ თქვენ პროტესტს განაცხადებდით.

როცა ხელს აწერენ თავდაუსხმელობის პაქტს საბჭოებთან, შეუძლებელია საქართველოს ოფიციალური საელჩოს შენახვა.

ელჩი, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს წარმოადგენს, ოფიციალურად დანიშნულია ამ უკანასკნელის მიერ; ეს არ გახლავთ ბ ნი ჩხენკელი. მით უმეტეს, რომ საქართველო ეხლა სრულიად დაწყნარებულია და ბ. ჩხენკელისთვის თავს არ იწუხებს.

მართალია, ქართველმა მენშევიკებმა დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნეს ღრმა გავლენა საქართველოს მუშათა კლასზე. მაგრამ ამ ჟამათ, მათ დაკარგეს ყოველივე ავტორიტეტი საქართველოს მშრომელთა შორის და განსაკუთრებით ცენტრში, საცა ისინი ასე ძლიერნი იყვენ.

თფილისის რკინის გზის მუშათა შორის, რომლებიც მათ მთავარ სიმაგრეს შეადგენდენ, მენშევიკების გავლენა დღეს აღარ არსებობს. თფილისის რკინის გზელები სავსებით მიემხრენ საბჭოთა ხელისუფლებას. ასევე ყველა მუშები, ყველა ღარიბი და საშუალო გლეხები საქართველოში. ყველა იქიდან დაბრუნებული ამას ერთხმად აღიარებს.

მე ვამბობ, მაშ, რომ ამას იქით შეუძლებელია, დავუშვათ აქ საქართველოს საელჩოს არსებობა.

მარიუს მუტე (სოციალისტი): ... პაქტის მიღება მიკარნახებს გავითვალისწინო ის მდგომარეობა, რომელშიც ჩავარდებიან ქართველი ემიგრანტები, და ის შედეგი, რომელიც შეიძლება მოუტანოს მათ თავდაუსხმელობის პაქტის მე-5 მუხლმა.

ჩვენ საქვეყნოთ ვაცხადებთ: ხალხთა თვითგამორკვევის უფლების ერთგული მომხრენი, ჩვენ არ შევწყვეტთ ჩვენი პროტესტის ამაღლებას იმ მდგომარეობის წინაამდეგ, რომელშიაც იმყოფება საქართველო.

ბ. ედუარდ ხელიე. ძალიან კარგი!

მარიუს მუტე. სამი თარიღი ფენს ნათელს ამ საქმეს:

1920 წლის 7 მაისს, საბჭოთა კავშირის მთავრობამ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა.

1921 წლის 27 იანვარს მოკავშირე სახელმწიფოები, არისტიდ ბრიანის თავმჯდომარეობით, სცნობენ საქართველოს სუვერენულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთ.

მაგრამ, იმავე წლის 11 თებერვალს, ე. ი. ამ ცნობის ორი კვირის შემდეგ, წითელმა ჯარებმა გადალახეს, ომის გამოუცხადებლათ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს საზღვრები და ამ ხნიდან მოკიდებული არ დაუტოვებიათ მისი ტერიტორია.

ბ. დორიომ გვითხრა, რომ ქართველები თავის ბედს არ სჩივიან, რომ საქართველოს ლეგაცია უკვე არავის არ წარმოადგენს, რომ მათი ღრმა გავლენა რკინის გზის მუშათა შორის თფილისში თუ სხვაგან გაქრა.

მინდა ვერწმუნო ბ-ნ დორიოს სიტყვას. მაგრამ მე ვარჩევდი, რომ ქართველებს ჰქონოდეთ საშუალება, თავისუფლად ილაპარაკონ და თვით განაცხადონ, თუ რა პირობებით მიემხრობოდენ საბჭოთა რესპუბლიკათა კავშირს (ტაში უკიდურეს მემარცხნეთა და სხვადასხვა სკამებზე).

ბ ნმა დორიომ საქართველოს ლეგაციის დღევანდელი მდგომარეობა გაუთანაბრა იმ პირობებს, რომელსაც შექმნიდა ელზას-ლოტარინგიის ლეგაციის არსებობა ბერლინში. ჩვენ შეგვიძლია, ამ კრებაში ელზასის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა წინაშე. განვაცხადოთ პროტესტი ასეთ გათანაბრების წინააღმდეგ.

იმ დღემდე, როცა საქართველო თვით გადასწყვეტს თავისუფლათ თავის ბედს, და ეს უეჭველათ დადგება—და ჩვენ გვინდა მალე დადგეს—ვაცხადებ: მიუხედავათ იმისა, რომ არ გვწამს ომი უფლების აღსადგენად (ტაში უკიდურეს მემარცხნეთა და სხვადასხვა სკამებზე), იმ დღემდე ვერავინ შეგვიშლის ხელს აღვამაღლოთ ეს პროტესტი უფლების სახელით ძალადობის წინააღმდეგ (ახალი ტაში).

მაგრამ ჩვენ ვიმყოფებით ფაქტიური მდგომარეობის წინაშე: 12 წელიწადია აღარ არსებობს ფაქტიურათ საქართველოს სახელმწიფოს სუვერენობა. აქედან გამომდინარეობს ზოგიერთი შედეგი საერთაშორისო უფლებრივი ხასიათისა, რაც, თავისთავათ ცხადია, ხელს უშლის გამუდმებულ არსებობდეს ოფიციალური ლეგაცია, რომელიც წარმოადგენს უკვე აღარ არსებულ მთავრობას.

მაგრამ ჩვენ გვრჩება ყოველ შემთხვევაში უფლება, მოვთხოვოთ ჩვენს მთავრობას—და საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია დაინახოს ამაში თავის უფლებათა დარღვევა—არა მარტო დაცულ იქნას ქართველებისათვის თავშეფარების უფლება, არამედ არ იქნას მიჩნეული პაქტის დარღვევათ ამ ბადმოხვეწილთა წარმომადგენელი კოლექტიური ორგანიზაცია, რომელსაც არავითარი ხელისუფლების და ოფიციალური ხასიათი არ ექნება და რომელიც მიუხედავათ ამისა შეძლებას მისცემს მათ არ გრძნობდენ თავს საფრანგეთში ჩვენი პოლიციის უბრალო ქვეშევრდომებათ (ძალიან კარგი! ძალიან კარგი!).

როგორც ჩვენ, არც ისინი ამყარებენ თავის იმედებს ომზე თავის უფლებათა განსახორციელებლათ. ისინიც, როგორც ჩვენ, მზათ არიან სტუმართმოყვარეობის კანონის თანახმად პატივი სცენ პაქტის მოთხოვნილებას, რომელიც ჩვენი ღირსების კანონათ უნდა იქნეს მიჩნეული.

ნუ დავტოვებთ მათ ჩვენი ადმინისტრატიული წესების ამარა იმ დროს, როცა, მეორეთ დამარცხებულნი, ისინი თავისი მწარე ბედის სიღრმეს სწვდებიან.

ედუარდ სულიე. ჩვენ სავსებით თანახმანი ვართ.

ედუარდ ერიო. ... ამის გამო უნდა ითქვას სხვათა შორის, რომ ის (პაქტი), როგორც ყოველივე პოლიტიკური აქტი, გულისხმობს ზოგიერთ შედეგებს.

აქ აღნიშნეს ასეთი შედეგები შესახებ საქართველოისა.

მე ვუღალატებდი საფრანგეთის ტრადიციას, რომ არ განვაცხადო: მართლაც ჩვენ ყოველივე ღონე უნდა ვიღონოთ, რათა იურიდიულ და დიპლომატიურ კეთილსინდისიერებას, რაიცა ჩვენი ეროვნული ლოიალობის მხოლოდ ერთი ფორმათაგანია, შეუთანხმოთ მთელი ის ყურადღება, რაიცა გვმართებს საქართველოს მიმართ, რომელიც მუდამ ცხად ჰყოფდა თავის უღრმეს ერთგულებას საფრანგეთისადმი, და რომელსაც ჩვენ უდიდეს პატივს ვცემთ.

პიერ რენოდელი. ჩვენ სავსებით ვუერთდებით ამ პაქტს, მაგრამ ჩვენს ხმის მიცემას თან სდევს ერთგვარი ნაღველი, ვინაიდან უნდა აღვიაროთ, რომ დიდმნიშვნელოვანი საერთო ხასიათის აქტების გულისათვის იძულებული ვხდებით ხანდიხან მსხვერპლი გავიღოთ პოლიტიკურად ნაკლები მნიშვნელობის საკითხის ხარჯზე, მიუხედავათ უღრმესი თანაგრძნობისა ამ უკანასკნელის მიმართ. უეჭველია, თქვენ გაიგეთ აქ ის წუხილი, რომელიც ესეცაა გამოსთქვა ჩემმა მეგობარმა მარიუს მუტემ საქართველოს მდგომარეობის შესახებ.

საქართველო, როგორც იცით, პატარა ქვეყანაა, რომლის იურიდიული და ფაქტიური დამოუკიდებლობა ცნობილია მრავალი სახელმწიფოს მიერ და მათ შორის საფრანგეთის მიერ. საქართველოს დამოუკიდებლობის პრობლემაზე ერთა ლიგის მიერ გამოტანილ იქნა ამ ქვეყნისათვის სასარგებლო და მნიშვნელოვანი მოსაზრებანი.

უნდა ვიფიქროთ თუ არა დღეს, რომ საფრანგეთ-საბჭოთა რუსეთის პაქტი სცვლის რამოდენიმეთ საქართველოს მდგომარეობას, რამდენად ეს ეხება საფრანგეთთან დამოკიდებულებას?

ვიცი—და ეს არ დამიმალავს არც ჩემი ქართველი მეგობრებისათვის—რომ მას შემდეგ რაც 12 წელმა განვლო, ძნელი წარმოსადგენია, რომ დაუსრულებლად და მუდმივად მივიჩნიოთ არსებობა იმ მთავრობისა, რომელსაც ამა თუ იმ მიზეზის გამო თავისი ქვეყანა დაუტოვებია.

და ვინაიდან ჩვენ ვცნობთ ამ სიძნელეს, არ გვაქვს განზრახვა მოვთხოვოთ მთავრობას დაიცვას ის წესები და ის მოქმედება, რომლითაც აღიარებულია ეს თუ ის მთავრობა.

მაგრამ მე მოსურნე ვიქნებოდი, რომ რესპუბლიკის მთავრობამ მოიგონოს საფრანგეთის მიერ თავის თავზე აღებული ვალდებულებანი და არ დაივიწყოს ერთი რამ: მან ან ჩაიდინოს, რაც არ ჩაუდენიათ ძველს მთავრობებს, როცა ცარიზმმა საქართველოს ანექსია მოახდინა, თუ არ ვცდები, 1801 წელს. მე ვისურვებდი, რომ რესპუბლიკამ არ დაივიწყოს, რომ მას არ უცვნია ოკუპაცია ძალის საშუალებით.

დავუმატებ, რომ უფლებას ვერ მოშლის ძალა, ისე როგორც ვერ მოშლის მას დროც, როცა საქმე ეხება ერის თვითგამორკვევის უფლებას და როცა იმ ერმა, რომლის ოკუპაციის ქვეშ იმყოფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ეს პატარა ქვეყანა, თვით იცნო მისი დამოუკიდებლობის უფლება.

მე აღარ გავაგრძელებ. ჩემი მეგობარი, მარიუს მუტე. ესეცაა გამოსთქვამდა ერთ იმედს. მეც მინდა გამოვთქვა იმედი, სახელდობრ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მოგვევლინება ერთ დღეს კეთილი შეთანხმებით თვით საბჭოთა რუსეთთან და რომ ბოლოს და ბოლოს ეს უკანასკნელი შეძლებას მისცემს ქართველებს, თავისუფლად გამოსთქვან თავიანთი აზრი თავისი მმართველობის ფორმის და ამა თუ იმ სახელმწიფოსთან დაკავშირების შესახებ.

მე მგონია აგრეთვე, რომ საფრანგეთ-საბჭოთა პაქტი უნდა შეიქნეს პირველი ეტაპი იმ ურთიერთობისა, რომლისგანაც არ არის გამორიცხული ის რაც ეხლა ვთქვი. და, შეიძლება წინააღმდეგ იმისა რასაც ფიქრობს კომუნისტური პარტია საფრანგეთში, ჩვენ სრული მოსურნენი ვართ, შეეცადოთ გავავითაროთ კეთილი ურთიერთობა საბჭოთა რუსეთსა და რესპუბლიკანურ საფრანგეთს შორის.

აფხაზეთი უახლოეს წარსულში და დღეს

(წერილი საქართველოდან)

V. გლეხის ეკონომიური მდგომარეობა და კოლექტივიზაცია.

საქართველოს ოკუპაციამ დიდი გავლენა მოახდინა აფხაზი გლეხის ეკონომიურ ვითარებაზე,—გამოიწვია საშინელი დიფერენციაცია, უმრავლესობა გაღარიბდა, მაგრამ ზოგი კონდრაბანდისტობამ, ხელისუფლებასთან ახლო დგომამ, დაპყრობის დროს ნაციონალური ქონების მითვისებამ გაამდიდრა და დიდებულად ცხოვრობს. ასეთი ხვედრი უმნიშვნელო უმცირესობისაა. ფეხშიშვლობა, უტანთსაცმლობა, ცუდი კვება დიდი უმრავლესობის ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი შეიქნა. აი ასეთ პირობებში გლეხს ხელისუფლებამ გაჭივრებიდან «თავის დასახსნელად» კოლექტივიზაცია შესთავაზა.

რას წარმოადგენენ აქაური კოლექტივები?

უნდა აღინიშნოს, რომ აქ არსებობს ორი სახის კოლექტივი. ერთი—ჩვეულებრივია, როგორის მზგავსი გვაქვს საქართველოს დანარჩენ კუთხეებში და რუსეთში; მეორე სახის კი არის, ე. წ. სააგიტაციო კოლექტივები. ჩვეულებრივი ტიპის კოლექტივები ჩვენ გვაქვს გალის, კოდორის რაიონში და დანარჩენ ისეთ ადგილებში, სადაც მცხოვრებლები არა აფხაზებია. ხოლო სააგიტაციო კოლექტივები მოწყობილი არის სწორედ აფხაზ მოსახლეობაში. ამის მიზეზი ის არის, რომ აფხაზი გლეხი ვერ დაიპყრეს. მან ძალადობას ტყეში გასვლით უპასუხა. რაც შეეხება სხვა ჩამოსახლებულ ხალხს, ამათი დამორჩილება ადვილი იყო. ეს ხალხია თითო ოროლა გადმოხვეწილი სხვადასხვა ადგილებიდან, დასაწყლებული და ხშირად დაგლახებული ხეტიალით. იგი იძულებული ხდება ხელისუფლების ბრძანება შეასრულოს. შორს არის თავის ნათესავებისაგან, მისი გვარისაგან. ერთად ერთი მისი ოჯახის მომვლელი თითონ არის. ეშინია დაპატიმრების, საყვედურის, დაბეგვრის და ყველა ამის გამო მას ხელისუფლება ადვილად იმორჩილებს. ხელისუფლება პირდაპირ უყენებს საკითხს ასე: ამ მიწაზე უნდა დათესო თამბაქო და ჩვენ ჩაგვაბარო. თანახმა თუ არა ხარ, სადმე უნდა გადასახლდე, მიწა კი გვესაჭიროება გეგმის შესასრულებლადო. გლეხი, ცხადია, ვერსად წავა, ვისაც წასავალი აქვს, იგი მიდის ძალით, თუ ნებით. აუარებელი ლაზები გადავიდენ ოსმალეთში. დარჩენილებიც გაიძახიან, უსათუოდ უნდა წავიდეთ, აქ არ იცხოვრებაო. მიდიან კონსულთან ბათუმში, აგზავნიან კაცს ტფილისში, მოსკოვში, რომ წასვლის ნებართვა აიღონ. ასევე იქცევიან ბერძნები. ესენი მასიურად გარბიან. ხელისუფლება ხელს უშლის ბერძნებს წასვლაში, არ უნდა გაუშვას, მაგრამ არც ნორმალური მეურნეობისა და ცხოვრების საშუალებას აძლევს. ეს გარემოება იწვევს რამდენიმე ოჯახის მიერ კაცის გაგზავნას მოსკოვში და თხოვნას საბერძნეთში დაბრუნების შესახებ. ხშირად ამ საქმის ინიციატორებს აპატიმრებს ჩეკა, რომ ჩაშალონ გადასახლების გეგმა.

აი ამ უცხოელებით, სომხებით და სხვასხვა კუთხიდან ჩამოსულ ქართველებით დასახლებულ ადგილებში ხელისუფლება ქმნის ნამდვილ კოლექტივებს. მტკიცე დავალებებით, საკონტრაქციო ციფრებით, დამზადების გეგმებით და სხვა ასეთებით ტვირთავს მას, რის შედეგად გლეხს სამი თვის სარჩოც აღარ რჩება და წლის განმავლობაში მხოლოდ ხელისუფლებისთვის მუშაობს.

სულ სხვაა სააგიტაციო კოლექტივები, რომლებიც აქა-იქ მოიპოვება აფხაზი გლეხის მოსატყუებლად. განვიხილოთ, რას წარმოადგენს ეს უკანასკნელი. ავიღოთ სანიმუშოთ ერთი: სოფელ ლიხინსა და გუდაუთს შორის არის ერთი ასეთი სააგიტაციო კოლექტივი, სახელად «კულტურა». მასში შედიან მეგრელებიც და აფხაზებიც, რიცხვით 10 მდე წევრი. მათ აქვთ ბოსტანი. წევრებს შორის განაწილებულია უმთავრესად საორგანიზაციო საქმეები. ხოლო თვით შავ მუშაობას აწარმოებენ დაქირავებული გადმოხვეწილი რუსები, რომლებიც აუარებელი არიან რაიონში. დაქირავებულები დღეში ღებულობენ 3 მანეთს და მუშაობენ 10 საათს. მოყვანილ მწვანილს ყიდიან ბაზარზე, აძლევენ კოოპერატივს საკმაოდ მაღალ ფასებში და ამრიგად რჩებათ დიდი მოგება. ყოველ თვის თავზე შემოსავალს ინაწილებენ. ეს უფრო წააგავს კაპიტალისტური წესით მომუშავე საწარმოო ამხანაგობას, რომლის მზგავსი ჩვენშიაც ბევრი იყო დასხვაგანაც. მათ მიერ მუშის ექსპლოატაცია ნებადართულია ხელისუფლებისაგან. არ იბეგრებიან, არ ეძლევათ მტკიცე დავალებანი და სტოვებენ ისეთ შთაბეჭდილებას, ვითომც კოლმეურნეობა მართლაც გლეხის ცხოვრების გაუმჯობესებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გამდიდრების საშუალება იყოს. ასეთი ტიპის კოლექტივები იყო რუსეთშიაც პირველ ხანებში და საქართველოშიაც. მაგ. გორის მაზრის, სოფ. სამთავისის «სერგო ორჯონიკიძის» სახელობის კომუნა, ზაქედის კომუნა კა! ეთში და სხვა. მათ დიდი საყვედური და გაკიცხვა ძიიღეს 28-29 წელში იმის გამო, რომ დაქირავებული შრომას სარგებლობდენ, ექსპლოატაციას ეწეოდენ და სხ. აქ კი დაშვებულია ეს.

რაშია საქმე?

ამის მიზეზი ის არის, რომ საქართველოშიც იყო საჭირო ამ ცრუ კოლექტივების არსებობა, სანამ პოლიტიკური კოლექტივიზმი გამოცხადდებოდა. აქაც, აფხაზეთში, ჯერ კიდევ საჭიროა იმ კოლექტივების არსებობა, რომლის მიზანია ხალხის მოტყუება. ხელისუფლებას უნდა გლეხებს დაარსებიოს, თუ გინდ ასეთი კოლექტივები და შემდეგ მისცეს მას მტკიცე დავალებები და გადააქციოს პოლიტიკურ კოლექტივებად. ეს ეშმაკური ხერხია ხალხის მოსატყუებლად, მაგრამ გლეხობა ამას მიუხვდა და თავს არ იტყუებს. მას ესმის გადმოხვეწილ რუსებისაგან და სხვა კუთხის ქართველებისაგან, რომ პირველად მათაც ასეთი მახე დაუგეს—დღეში 10-15 მანეთით დაიწყო და 67 კაპეიკით დამთავრდა. ხელისუფლებას ნდობა და ავტორიტეტი დაკარგული აქვს და ამ სააგიტაციო კოლექტივებს შედეგი სხვა არა აქვს რა, გარდა ზოგიერთი პირების გამდიდრებისა გადმოხვეწილთა შრომით და ექსპლუატაციით. მიუხედავათ ასეთი ხრიკებისა, აფხაზი მეურნეობის 5 პროცენტიც არ არის გაერთიანებული კოლექტივებში. მაგრამ გალის რაიონის და არა აფხაზი გლეხის ძალით შერეკვა კოლექტივებში ადიდებს აღნიშნულ პროცენტს, ამრიგად ცოტა ყალბი ციფრების დამატებით, რაც ბოლშევიკურ სტატისტიკას მუდმივ თან ახლავს, კოლექტივიზაციის საერთო პროცენტი მთელ მეურნეობის 32 პროც. აღწევს. კოლექტივებში გაერთიანებული გლეხები აქაც ისე წვალობენ, როგორც სხვაგან. ცხოვრების ძველი სახსრები მათ გამოელიათ და ჩქარა იძულებული გახდებიან იკვებონ თბილ კაბინეტებში მაძღარი ხალხის მიერ შედგენილ ნორმების მიხედვით. თუ როგორია ეს ნორმები, გურიამ გვიჩვენა: ნახევარი გირვანქა პური შრომა-დღეზე.

ინდივიდუალურ მეურნეობებს ხელისუფლება არ უყურებს ყველგან ერთგვარად. თვით აფხაზებს ეპყრობა შედარებით კარგად. მათზე არ არის გავრცელებული მთელი სისასტიკე მტკიცე დავალებების შესრულების. მათ ეძლევათ შედარებით პატარა, ადვილად დასაძლევი ნორმები. ეს რა თქმა უნდა დროებითი მოვლენაა და მით ორგვარი საქმე კეთდება: ერთის მხრივ ხელისუფლება აღღვევს მცხოვრებთა მთლიანობას, ჰკიდებს ერთი მეორეს ადგილობრივ და სხვა მცხოვრებლებს, მეორეს მხრივ ამით ცდილობს ადგილობრივ აფხაზ გლეხობასთან დაახლოვებას, რომ ამით ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენდეს აფხაზი პარტიზანების არსებობა. ხელისუფლებას ყველაზედ ძლიერ ძალთა გაერთიანების ეშინია და მისი ყოველივე ცდა ამ გაერთიანებული ძალების დაშლისაკენაა მიმართული.

სხვადასხვანაირი დამოკიდებულება ადგილობრივ და ჩამოსულ გლეხებთან იხატება სხვადასხვა ნაირი დავალებების მიცემაში. მაგ., თუ ადგილობრივ აფხაზს ეძლევა ნახევარი გექტარი თამბაქო დასამუშავებლად, ჩამოსახლებულს ეძლევა არანაკლებ ერთი გექტარისა. ამით ხელისუფლება თითქოს არღვევს დამოკიდებულებას ამ ორ პირთა შორის. დიდი დავალება ნიშნავს ოჯახის ჩქარა განადგურებას და აი როგორ: ვთქვათ გლეხმა მიიღო დავალება გააკეთოს 1 ნახ. გექტარი თამბაქო. აქედან მან უნდა მოიყვანოს საშუალოდ 90 ფუთი თამბაქო, რაც უკლებლივ უნდა ჩააბაროს ხელისუფლებას. ფუთ თამბაქოში გლეხს ეძლევა 20-25 მანეთი (თამბაქოს ხარისხის მიხედვით). ეხლა ვნახოთ რა ჯდება ფუთი თამბაქო. ჩვენს პირობებში უკეთეს შემთხვევაში ფუთი თამბაქოს მოყვანას მის ჩაბარებამდე სჭირდება 12 შრომა დღე. ეს-მინიმუმია. 12 შრომა დღე გლეხს დაუჯდება არა ნაკლებ 70—80 მანეთისა. და ეს იმ შემთხვევაშიაც კი თუ სურსათს კოოპერატიულ ფასში მიაწოდებენ მას. ამრიგად საკონელი, რომელიც გლეხს 80 მან. დაუჯდა, უნდა ჩააბაროს მთავრობას 20 მანეთად, რის გამო გლეხი ფუთ თამბაქოზე აგებს 60—50 მანეთს. ხოლო თუ გლეხი ხელისუფლებას ჩააბარებს მთელ მოსავალს, ე. ი. ამ შემთხვევაში 90 ფუთს—მან უნდა დაკარგოს 5.400 მან. ეს დანაკარგი მას ერთის დაკვრით გაანადგურებდა, მაგრამ გლეხი იბრძვის რა არსებობისათვის, ეძებს გამოსავალს და ასეთს პოულობს კონდრაბანდაში. მოყვანილი მოსავლიდან იგი მალავს თამბაქოს განსაზღვრულ რაოდენობას. ვთქვათ დამალა 10 ფუთი. ფუთ თამბაბოს ასაღებს (კონდრაბანდათ) 400 მან. ათი ფუთი თამბაქოდან იგი მიიღებს 4.000 მანეთს. ჩვენ ზევით გვქონდა 5.400 მან. დეფიციტი. მაგრამ რადგან მეურნეობაში გლეხი თითონ მუშაობს, ცოლს და ბავშებს ამუშავებს, ამიტომ ფულად არ ანგარიშობს გლეხი ამ შრომას. ფულად გასავალს კი ეს კონდრაბანდა დაუფარავს და მოჩვენებით მოგებასაც დაუტოვებს. ერთი სიტყვით გლეხის ოჯახი უსათუოდ დაიღუპებოდა, რომ მის მიერ ნამუშევარს არ იპარავდეს და ამით არ იცავდეს თავს. მართალია ეს ხერხი აკრძალულია, ხშირად გამოტანილ თამბაქოს ართმევენ, მაგრამ მთავრობა ჯერჯერობით, ვისი განადგურებაც არ უნდა, იმათ მიმართ არ მიმართავს სასტიკ ზომებს, თან ისიც იცის ხელისუფლებამ, რომ კონდრაბანდის სავსებით აკრძალვა გლეხს სრულიად დაუკარგავდა ხალისს მეორე წელს თამბაქოს მოყვანისას. ნათქვამიდან ნათელია, რა აღვირახსნილ და საშინელ ექსპლოატაციას ეწევა ბოლშევიკური ხელისუფლება და როგორ ითვისებს გლეხის ნაშრომს და ნაამაგარს.

აქვე საინტერესოა აღვნიშნოთ ერთი ფაქტი: თანახმად ცენტრალურ ორგანოების დადგენილებისა გეგმის 95 პროცენტი უნდა შეასრულონ კოლმეურნეობებმა და ინდ. მეურნეობებმა, 5 პროცენტი კი საბჭოთა მეურნეობებმა. ეს იმიტომ ხდება, რომ «სოვხოზებში» ხომ სახელმწიფო თანხებია და ხელისუფლება ვერასდროს ვერ მოახერხებს 25 მანეთად მიიღოს ფუთი თამბაქო, მიუხედავად იმისა, რომ დაქირავებულ მუშებს 2 მან. და 20 კაპ. აძლევდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეში. ამას მიუმატეთ გაბერილი შტატები, ბრიგადირები, კონტროლიორები, მგეგმავები, გამგეები და სხვა მრავალი, რომელთა შენახვა მძიმე ტვირთად აწვება წარმოებას და ფუთი თამბაქოს თვით ღირებულებას, რომ სამორტიზაციო თანხა არ ვიანგარიშოთ, 50-55 მანეთამდე ზრდის. ეს მაშინ, როდესაც ხელისუფლება ისეთსავე თამბაქოში გლეხს აძლევს მხოლოდ 20-25 მანეთს ფუთში. ამის გამო ხელისუფლება ცდილობს, რაკი საქმე ზარალს იწვევს, ამ ზარალის მან 5 პროც. იხვედროს და დანარჩენი კი გლეხობას აზარალოს.

კოლმეურნეობებზე მიცემული საკონტრაქტაციო ვალდებულება უკანასკნელისათვის კიდევ უფრო საზარალოა, ვიდრე ინდ. მეურნეობისათვის, ვინაიდან კოლექტივებს თითქმის წართმეული აქვთ კონდრაბანდის საშუალება, ვინემ კერძო მეურნეთ.

აი ასე უწევენ ბოლშევიკები ექსპლოატაციას იმ ხალხს, რომლის კეთილდღეობისათვის თითქოს იბრძვიან.

განვიხილოთ ეხლა სოფის მეურნეობის ახალი სახე, ე. წ. «სოვხოზები».

გენო.

აფხაზეთი. 1932 წ.

კავკასიის კონფედერაციის პაქტი. დაკვნა—მომავლის პერსპექტივები

მე ვასრულებ ჩემს გრძელს განხილვას. ამ ხნის განმავლობაში პროექტმა განიცადა ზოგიერთი ცვლილება, რომელსაც ჯერ არ ვიცნობ. შემდეგში შეიძლება შევეხოთ ამ ცვლილებებსაც. დღეს კი მინდა გავათავო. მინდა ყურადღება მივაქციო აგრეთვე იმ ფაქტორებს, რომელნიც ტექსტში არ არიან გამოთქმულნი, მაგრამ რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საერთოდ მთელი საქმისათვის.

კავკასიის პაქტის განხილვიდან ის უნდა დავასკვნათ, რომ მთლიანად იგი დამაკმაყოფილებელია. რა თქმა უნდა, მას ბევრი რამ აკლია, ბევრს უხერხულობას და წინააღმდეგობას შეიცავს,—ეს შედეგია პაქტის ავტორთა გაუბედავობის, რომელთაც ესმოდათ საჭიროება დათმობისა საერთო ინტერესისთვის, მაგრამ ვერ დასძლიეს ნაციონალური ეგოისტური გრძნობები. აქედან წარმოსდგა ის, რომ პაქტი არსებითად კომპრომისულია, წარმოიშვა წინააღმდეგობებიდან. ამიტომაც მას აქვს ნაკლი, მაგრამ ამავე დროს იგი შეიცავს ბევს ღირსებასაც.

აღსანიშნავია ყოვლის უპირველესად, რომ პაქტი ღიად სტოვებს კარს ფედერალურ ელემენტის განსავითარებლად. საერთო მუდმივ ორგანოს—სამდივნოს დაწესებით, შემავალ სახელმწიფოების ფრიად მნიშვნელოვან საგნების ცენტრალიზაციით საერთო დაწესებულებებში, საკონფედერაციო სასამართლოს დადგენით, რომელიც ბუნებრივი დამცველია ერთობის სულისა, და ბოლოს დამოუკიდებელი ცხოვრების საერთო ცენტრის მოწყობით—პაქტი ფართო პერსპექტივებს შლის კავკასიის კონფედერაციისათვის. ეს მეტად საჭირო იყო, ვინაიდან კონფედერაციის ფორმა გარდამავალია. კონფედერაცია არაა პრინციპი მუდმივი ორგანიზაციისა. მისი დანიშნულება ისაა, რომ უნდა შექმნას ხელშემწყობი პირობები ფედერალიზმის განსავითარებლად. მან უნდა შეამზადოს ნიადაგი, რომელზედაც აიგება უფრო მკვიდრი და ხანგრძლივი შენობა. რომ ამ მიზანს მიაღწიოს, პირველი ორგანიზაცია უნდა შეიცავდეს ელემენტებს გარდაქმნისათვის, ევოლუციისათვის. ეს ელემენტები კავკასიის პაქტში არის.

მეორე აგრეთვე მნიშვნელოვანი ღირსება პაქტისა ისაა, რომ იგი ანიჭებს მხოლოდ ცენტრალურს ხელისუფლებას უდიდესი მნიშვნელობის საგნების კომპეტენციას. ეს სრულებით ახალი რამაა. ყველა ძველს კონფედერაციაში ცენტრალურ ხელისუფლების საერთაშორისო პიროვნება არ გამორიცხავს შემავალ სახელმწიფოების საერთაშორისო პიროვნებას. ცენტრალური მართველობა ასრულებდა უდიდეს საერთაშორისო ფუნქციებს, ხოლო ესეთი ფუნქციები მთლად ჩამორთმეული არ ჰქონდათ წევრს—სახელმწიფოებსაც. ამგვარი გაორება საგარეო პოლიტიკისა უეჭველად ვნებდა მთელი კონფედერაციის საერთო ინტერესებს. კავკასიის პაქტში არაფერია ამის მსგავსი: საერთაშორისო საქმეები კონფედერაციისა გამორიცხულია შემავალ სახელმწიფოების კომპეტენციიდან. ომის გამოცხადებაა, თუ ლეგაციის უფლება, თუ პოლიტიკურ ხელშეკრულობათა დადება—ყველა ეს საქმე მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლების კომპეტენციას შეადგენს. ეს ჰქმნის იმ უპირატესობას, რომ საგარეო პოლიტიკა იქნება ერთი მიმართულების, დაცული იქნება ერთი მთლიანი ხაზი.

აქედან უნდა დავასკვნათ, რომ შემავალ სახელმწიფოებმა დაკარგეს თავიანთი საერთაშორისო პიროვნება? არა, ვინაიდგან გარდა პოლიტიკური საერთაშორისო კომპეტენციისა არსებობს სხვა საერთაშორისო კომპეტენცია, სახელდობრ დადება არა პოლიტიკურ საერთაშორისო ხელშეკრულობათა. აი ამ ფარგალში და მხოლოთ ამ ფარგალში შემავალ სახელმწიფოებს შეუძლიათ იქონიონ დამოკიდებულება უცხოელ სახელმწიფოებთან, აწარმოონ საერთაშორისო მოლაპარაკება და ხელი მოაწერონ საერთაშორისო ხელშეკრულობათ.

აღსანიშნავია მესამე ღირსება კავკასიის პაქტისა—უმაღლესი საკონფედერაციო სასამართლოს დაწესება. მაგრამ მარტო კავკასიის კონფედერაციის თვისება არაა დამოუკიდებელი სასამართლოს დაწესება, რომელმაც უნდა გაარჩიოს ყოველი დავა ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ ხელისუფლებათა შორის. უნდა ითქვას ისიც, რომ კავკასიის პაქტის სასამართლო არაა უნაკლო. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ მიუხედავად თავის ნაკლისა კავკასიის საკონფედერაციო სასამართლო უდიდეს სამსახურს გაუწევს საერთო საქმეს. თავის ფრთხილი და გონივრული პოლიტიკით იგი ისეთს განმარტებას მისცემს პაქტის კერძო დებულებებს, რომ გააძლიერებს ცენტრალურ ხელისუფლებას და შეასუსტებს ამის საწინააღმდეგო ძალებს. საკონფედერაციო სასამართლოს შემადგენლობას ამ მხრივ უდიდესი ღირებულება ექნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულ მივაქცევთ ყურადღებას მუდმივი სამდივნოს არსებობას. ეს მიბაძვაა ნაციათა ლიგის პაქტისა, მიბაძვაა ფრიად სასარგებლო. სამდივნო—ფედერალიზმის გული—ისევე შეუწყობს ხელს ერთობის განვითარებას, როგორც საკონფედერაციო სასამართლო. მისი საქმიანობა გამოიხატება ცენტრალიზაციასა, ინფორმაციასა და განსაკუთრებით პროპაგანდაში, რაიც უეჭველად დიდს ნაყოფს მოიტანს.

ასეთია კავკასიის პაქტის მთავარი უპირატესობანი. მაგრამ გარდა ამისა პაქტს თან ახლავს ფსიქოლოგიური მომენტი. ფსიქოლოგიური ელემენტი შეუხებელი ფაქტორია, მაგრამ უმისოთ არც ერთს აღმშენებლობას არ შეუძლია წარმატება. უნდა შეიქნას კავკასიური სული. ეს შეიძლება ეუცხოოს ვისმე და აბსურდად მოეჩვენოს, მაგრამ ეს სინამდვილეა.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ ნაციათა ლიგის კრიზისზე, ხოლო არავინ ცდილობს, კარგად გაიგოს, თუ რაში გამოიხატება ეს კრიზისი. მე არ შევჩერდები ამ კრიზისის გარეგან გამოხატულებაზე,—საკმარისია ჩინეთ-იაპონიის უთანხმოების გახსენება. შევეცდები ამ კრიზისის მიზეზების გარჩევას და რაც ითქმის ნაციათა ლიგის შესახებ, მცირეოდენი ცვლილებით შეეფარდება კავკასიის კავშირს.

უდავოა, რომ ნაციათა ლიგის განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად განვითარდება ინტერნაციონალიზმი და შესუსტდება ნაციონალიზმი. დღეს ჩვენ ვხედავთ მეტად სამწუხარო წინაამდეგობას ეკონომიურს ევოლუციასა და პოლიტიკურ ევოლუციას შორის. ისეთი ეკონომიური ურთიერთობაა შექმნილი, რომ ერთი დამოკიდებულია მეორეზე და ერთის ბედი დაკავშირებულია დანარჩენების კეთილდღეობაზე. მაგრამ როგორია პოლიტიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა? ყველგან გაბატონებულია აღვირაშვებული შოვინისტური ნაციონალისტური ეგოიზმი. მე არრას ვამბობ ყველა იმ დიქტატურაზე, რომელიც ასე გამრავლდა ევროპაში, სადაც დაავადმყოფებულმა ნაციონალიზმმა ერთგვარი კულტი მოიპოვა. თვით დემოკრატულ სახელმწიფოებში გაბატონებულია და ყველაფერს ბრძანებლობს ვიწრო ნაციონალიზმი-შოვინიზმი. ნამდვილი საერთაშორისო სულის უქონლობა—აი ღრმა მიზეზი ნაციათა ლიგის კრიზისისა.

«საერთაშორისო სული»—ცრუ სიტყვაა და არაფერს ამბობსო, შეიძლება ვინმემ თქვას. მაგრამ ესაა აუცილებელი პირობა ნაციათა ლიგის წარმატებისა, პირობა მშვიდობიანობისა, რომელიც შეადგენს ჩვენი დროის ცივილიზაციის მოვალეობას. უნდა შეიქნას ეს საერთაშორისო სული, ერთა ნამდვილი სოლიდარობა, უნდა სწარმოებდეს განუწყვეტელი მუშაობა მორალურ და პოლიტიკურ აღზრდისათვის. ამაოა საარბიტრო და შეთანხმების ხელშეკრულობათა დადება, საქვეყნოდ გამოცხადება თავდაუსხმელობისა, მატერიალური დაბრკოლებათა შექმნა ომის საშიშროების წინაამდეგ, თუ ეს არ ემყარება სათანადო სულიერ მდგომარეობას.

ნურავინ დამწამებს, თითქოს მინდოდეს ერი შეეწირო კაცობრიობას, რომელიც (ჯერ კიდევ მაინც) დიდი აბსტრაქციაა. არ მოვითხოვ ყოველ განსხვავების, ყოველ თავისებურობის მოსპობას, ყველას შერევას, გათქვლეფას და უსახეობას. ეს იქნებოდა უტოპია, მეტად უფერული. ხოლო ინტერნაციონალიზმს უნდა მიეცეს მეტი ღირებულება და წონა, ვიდრე დღესაა. მარტო ამ შემთხვევაში იქნება უზრუნველყოფილი მშვიდობიანობა.

მიუდგეთ ასევე კავკასიასაც. მე ვსთქვი, უნდა შეიქნეს კავკასიური სული, ე. ი. უნდა შეიქნეს ისეთი მდგომარეობა, რომ კერძოსა და საერთოს უთანხმოების დროს ყოველმა ჩვენთაგანმა ჯეროვანად უნდა პატივი სცეს საერთო ინტერესს. კავკასიური სული ნიშნავს საერთო კავკასიური ერთეულის ინტერესის დაცვას. აქ იგივე საკითხია, რაცაა ნაციათა ლიგის.

ყველასთვის ცხადია, რომ დღეს ძალიან შორსა ვართ ასეთ მდგომარეობისაგან. ვიწრო ეროვნული სული ყველას გვაბრმავებს ხშირად და აბრკოლებს საჭიროა გარდაქმნას. კავკასიის პაქტის ღირსებაა, რომ იგი ხელს უწყობს საერთო სულის წარმოშობას და განვითარებას, ვინაიდგან თუ ფსიქოლოგიური ევოლუცია განხორციელდა, იურიდიული და პოლიტიკური ორგანიზაცია თავისთავად აუცილებლად წარმოიშობა. იურიდიული დაწესებულებანი ხომ ბოლოს და ბოლოს უფლებრივი გამოხატულებაა ცხოვრების ძალების და ფარულ მიდრეკილებების. დღეს და კავკასიის ერთა დამოუკიდებლობის აღდგენამდე კავკასიის პაქტის პრაქტიკული დანიშნულებაა შექმნას და განავითაროს კავკასიური სული.

მიხ. მუსხელიშვილი.

რ ა გ ზ ე ბ ი თ?

უკვე მეოთხე წელიწადია, რაც საშინელი ეკონომიური კრიზისი მძვინვარებს მთელს მსოფლიოში, მაგრამ მას არამც თუ არ უჩანს დასასრული, პირიქით, ის უფრო რთულდება, ღრმავდება, ფართოვდება, ე. ი. გადადის წმინდა ეკონომიური სფეროდან და ხდება პოლიტიკურ, ზნეობრივ და საერთო კულტურულ კრიზისად. რამდენიმე წლის წინეთ არავის მოუვიდოდა აზრათაც, რომ წმინდა ბურჟუაზული სახელმწიფოების ურთიერთობაში სახელმწიფო ვალების გადახდის უარს იტყოდენ (საფრანგეთი—შეერთ. შტატები), ეს ხომ კერძო საკუთრების პრინციპის უარყოფაა! ან და ვინ წარმოიდგენდა ორი სიმაგრის—სტერლინგის და დოლარის—ასე დაცემას, მსოფლიო აღებ-მიცემობის უაღრესი განვითარების შემდეგ სახელმწიფოების ერთმანეთისაგან საბაჟოსადევიზო კედლებით სრულ იზოლიაციას, ჩაკეტვას; თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით დამთავრებულ დიდი ომის შემდეგ მეორე ათწლედში ჰიტლერიზმს და სხვა ჯურის დიქტატურას, ანტისემიტიზმს და სხ.

კაპიტალისტური წესწყობილებისთვის კრიზისი ახალი მოვლენა როდია, მან უკვე თერთმეტი პერიოდული კრიზისი გაიარა, მაგრამ არცერდს ასე არ აუფორიაქებია მისი ფესვები, საძირკველი. ცხადია, ჩვენ არა გვაქვს საქმე ჩვეულებრივ პერიოდულ კრიზისთან, ან უკეთ რომ ვთქვათ, ამგვარ კრიზისს მიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატა, ტექნიკის სწრაფი განვითარების გამო, ახალი ელემენტები, რომელიც შეუძლებლათ ხდის კაპიტალისტურ წარმოებას და აღებ-მიცემობას ეხლანდელ სოციალურ ნიადაგზედ. რითი განსხვავდება დღევანდელი კრიზისი წინანდელი კრიზისებისაგან და რა არის მათ შორის საერთო? მთავარი მიზეზი ეკონომ. კრიზისების იყო გაჩენის თანავე უთანასწოროობა წარმოებას და მოხმარებას შორის, რაც თავის მხრივ შედეგია კაპიტალისტური წარმოების ანარქიისა და განუსაზღვრელი პირადი მოგების მოტივისა: ყოველი მრეწველი ცდილობს რაც შეიძლება მეტი აწარმოვოს, რომ მეტი მოიგოს და არ კითხულობს, გაიყიდება ეს საქონელი თუ არა; საერთოდ ის არ ზრუნავს მომხმარებელთა მყიდველობით შესაძლებლობაზე, პირიქით მისი მამოძრავებელი მოტივი—მეტი მოგებისა, მეტი ღირებულობის მითვისების მიმართულია მომხმარებლების წინაამდეგ, ვინაიდან რაც უფრო დიდია წილი კაპიტალის, მით ნაკლებია მომხმარებლის. სწორეთ ეს ბრმა ეგოისტური მამოძრავებელი ძალა ეკონომიური საქმიანობის, საყოველთაო ლოზუნგით: «ჭამე, რომ შენ არ შეგჭამონ»,—შეუძლებლათ ხდის წარმოებისათვის, შეასრულოს თავისი ზნეობრივი სოციალური ფუნქცია—სავსებით დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მოთხოვნილებები; და ამნაირად ლიბერალური პრინციპი კერძო პიროვნების განუსაზღვრელი ინიციატივის და პასუხისგებლობის,—გადაიქცა ანარქისტულ პრინციპად და განადგურებას უქადის კაცობრიობას.

კაპიტალისტური წესწყობილების გასულ ხანაში, ესე იგი ომამდე, ეს ლიბერალისტური პრინციპი პროგრესული მოვლენა იყო: მან მოაგვარა სავსებით წარმოების ტექნიკური პრობლემა, შეჰქმნა მაღალი ტექნიკის მსოფლიო მრეწველობა და აღებმიცემობა. კრიზისებსაც შედარებით ადვილად ინელებდა, იმიტომ, რომ კაპიტალიზმის ანტაგონისტური ძალები ამ საფეხურში საგრძნობლათ არ იყო განვითარებული, და მეორე მხრით მან შეჰქმნა შინაური მექანიზმი, ეგრ. წოდებული ეკონომ. ავტომატიზმი ფასებისა. როცა წარმოება გადააჭარბებს მოთხოვნილებას, ე. ი. ბაზარზე დაგროვილი საქონელი მეტია, ვიდრე მომხმარებელთა მყიდველობითი შესაძლებლობა აიტანს,—ფასები ეცემიან, წარმოება ჩერდება, დგება დეპრესიის ხანა. კრიზისი, ფასები კატასტროფულათ მიექანებიან ქვევით, სანამ არ დააცალიერებენ დაგროვილი საქონლების «სტოკებს»; მერმე იწყება უკუღმა პროცესი: «სტოკებში» უკვე საქონელი არ არის, მოთხოვნილება საქონლის მეტია, ვიდრე წინადადება, ფასები იწევენ, გაეფეგბული ფული ეძებს მუშაობას, იწყება ისევ გამოცოცხლება, მაღალი ფასები, საყოველთაო აყიოტაჟი, კონიუნქტურა, სანამ სამრეწველო ანარქია ისევ არ მიიყვანს კრიზისამდე. ამ სამრეწველო ავტომატიზმთან დაკავშირებულია ე. წ. ოქროს ფულის ავტომატიზმი: ოქროს ტრიალი სრულიათ თავისუფლათ, მექანიკურათ ხდებოდა, გადადიოდა ერთი სახელმწიფოდან მეორეში ავტომატიურათ მხოლოდ და მარტო საანგარიშო ბალანსის მიხედვით. თუ სახელმწიფოებს შორის საქონლის და ურთიერთი სამსახურის გაცვლაგამოცვლა ერთმანეთს არ ფარავდა, მაშინ დეფიციტი დაიფარებოდა ოქროთი: ოქრო დაინძრეოდა პასივური ბალანსიანი სახელმწიფოდან აქტივურში; მისი ფასი პირველ სახელმწიფოში აიწეოდა, მეორეში კი დაიწევოდა დაახლოვებით იმდენად, რამდენად დაჯდებოდა მისი ტრანსპორტი.

ამ ფარგლებში ოქროს ფასების ფლუქტუაციას ქონდა ის დადებითი შედეგი, რომ ოქროს განაწილება მსოფლიოში იყო თანასწორი, ეკონომიური მოთხოვნილებების და ურთიერთობის თანახმად; ამნაირად ფული ნორმალურად ასრულებდა თავის ეკონ. ფუნქციას, როგორც საერთაშორისო აღებ-მიცემობის საშუალება. ომის შემდეგ ხომ ეს ორგანიული პროცესი შეწყდა, ცალმხრივი, იძულებითი, არა კომეურციული გზებით ოქრო დაგროვდა ორ-სამ ქვეყანაში, სხვებს კი ის გამოეცალა; ამით ოქრომ დაჰკარგა მთავარი სასარგებლო ფუნქცია, მოახდინა აღებ-მიცემობის დაფასების დეზორგანიზაცია.

ზემოთ დახასიათერული ეკონომ. ავტომატიზმი დღეს, ომის შემდეგ შეუძლებელი გახდა, იმიტომ როს კაპიტალიზმმა თავის განვითარების პროცესში დაბადა ისეთი დამაბრკოლებელი მოვლენები, ანტაგონიზმები, რომელნიც სასტიკათ ეწინააღმდეგებიან მის არსებას. ასეთი ანტაგონიზმთაგანია კარტელები, რომელთა პროგრესული მიზანი იყო წარმოების დაგეგმვა, სამრეწველო ანარქიაში სისტემისა და ზომის შეტანა, მაგრამ მათმა მეორე და უძლიერესმა ტენდენციამ—ფასების მაღალ დონეზე სტაბილიზაციამ შეზღუდა მთავარი ღერძი ლიბერ. კაპიტალიზმისა—თავისუფალი კონკურენცია, ფასების რეგულიატორი—საქონლის წინადადების და მოთხოვნილების კანონი. კარტელებმა შეუძლებელი გახადეს ფასების თავისუფალი ფლუქტუაცია, რასაც კი კრიზისის დროს ჰქონდა ის დადებითი მნიშვნელობა, რომ ფასების სწრაფი დაცემით ხელს უწყობდა ზედმეტ ნაწარმოების მალე გაყიდვას, მაშასადამე კონიუნქტურის დაბრუნებას. სწორეთ კარტელების სიძლიერეს მიეწერება თანამედროვე კრიზისის მსვლელობით დამტკიცებული პარადოქსული ფაქტი. რომ მიუხედავათ კრიზისის კატასტროფიული ხასიათისა ფასები შესაფერისად არ დაეცენ; ფასების დაკლების მაგივრად ზედმეტ ნაწარმოებ საქონელს ზღვაში ჰყრიან, ცეცხლს უკიდებენ, პიროუტყვს აჭმევენ (ყავა, ხორბალი, მაქარი, ბამბა და სხვა), როცა რამდენიმე ათეული მილიონი მომხმარებელი მშიერ-ტიტველია.

კარტელების გარდა არსებობს მთელი რიგი ფაქტორებისა, რომელნიც ზღუდავენ ლიბერალურ დებულების—«ეკონომიური ძალების თავისუფალ თამაშს»: მუშების ხელფასის შედარებითი სტაბილიზაცია სინდიკატების გავლენის გამო; კოლონიალური ეკონომ. პოლიტიკით ბაზრების გაფართოების შეუძლებლობა კოლონიების ინდუსტრიალიზაციის და პოლიტიკური წინაამდეგობის გამო; გაფართოება მთავრობების მიერ ომის დროს მითვისებული რეგლამენტაციისა ეკონომიური ცხოვრებისა; ოქროს უთანასწორო განაწილებით გამოწვეული ფულის გაძვირება, უსაზღვრო პროტექციონიზმი და სხვა.

მაგრამ მთავარი თვისება, რომელიც ანსხვავებს

თანამედროვე კრიზისს წინანდელებისაგან და ჰქმნის მას სტრუქტურალურად, კერძო წარმოებისთვის საბედისწერო კრიზისად,—არის ე. წ. ტექნოლოგიური უმუშევრობა. ტექნიკის განვითარება წინეთაც ყრიდა მუშებს გარეთ, მაგრამ ასეთი უმუშევარნი მალე იპოვნიდნენ სამუშაოს სხვა ახალ საწარმოვო დარგებში, ტექნიკურათ დაწინაურებულში. მაგრამ ომის დრომ და მერე ომის შემდეგ დიდი კონიუნქტურის ხანამ ისეთი ზღაპრული იმპულსი მისცა ტექნიკის განვითარებას, რომ თუ წინეთ ხდებოდა მექანიზაცია არითმეტიკული, ეხლა გეომეტრიული პროგრესიით ხდება. მანქანები გაცილებით უფრო სწრაფი ტემპით ყრიან მუშახელს გარეთ, ვიდრე გაფართოებულ წარმოებას შეუძლია მიიღოს ეს უმუშევრები. სხვა და სხვა სტატისტიკური დაწესებულებები, განსაკუთრებით ამერიკაში, ირწმუნებიან, კიდეც რომ აღდგეს სრულიად 1929 წლის წინა უდიდესი კონიუნქტურა, მაინც დღევანდელი 36 მილიონ უმუშევარისაგან შეუძლია მუშაობას დაუბრუნდეს მხოლოდ მესამედსო. მართლაც გასული წლის ივნისიდან საწარმოვო ინდექსებმა და ფასებმა დაიწყეს აწევა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ კრიზისი ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით ლიკვიდაციის გზას დაადგა. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ წარმოებამ მართლა რამოდენიმედ აიწია, ეს გამოცოცხლება უფრო საგრძნობი იქნებოდა, რომ ხელი არ შეეშალა საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობის გართულებას (ჰიტლერიზმი, ომი შორეულ აღმოსავლეთში და სხვა); მაგრამ საინტერესო ისაა, რომ წარმოების გამოცოცხლებას არავითარი ცვლილება არ შეუტანია უმუშევართა რიგებში, პირიქით, ზოგ ალაგას ამ რიცხვმა იმატა და ეს იმიტომ, რომ კრიზისის დროს რაციონალიზაცია ე. ი. მექანიზაცია არამც არ გაჩერებულა, არამედ გაორკეცებით გრძელდება ამ ლოზუნგით: «უშველეთ თავს, ვის რითაც შეგიძლიათ!»

ერთი სიტყვით დღევანდელ უმუშევრობას აქვს ნათელი ტენდენცია ზრდის და მუდმივობის, იგულისხმება, ინდივიდუალური კაპიტალიზმის ფარგლებში. გვაქვს საქმე პარადოქსალურ მდგომარეობასთან: რაც უფრო მეტია ტექნოლოგიური პროგრესი და მეტი საქონლის გამოშვება ბაზარზე, მით უფრო ნაკლებია მყიდველი, ვინაიდან მომხმარებელთა მყიდველობითი შესაძლებლობა ეცემა ტექნოლოგიური უმუშევრობის გამო. ერთ მშვენიერ დღეს რომ კაპიტალისტებმა გადასწყვიტოს მანქანების გადაგდება და ისევ დაუბრუნდეს პრიმიტიულ ხელით მუშაობას, უმუშევრობის და კრიზისის პრობლემა გადაწყვეტილი იქნებოდა. ეს ხომ შეუძლებელია, ადამიანს ყოველთვის წინსვლა სჩვევია; პირიქით უფრო ბუნებრივია ცდა, რომ ადამიანის გენიოსობის, ტექნიკა-მეცნიერების მონაპოვარი გამოყენებული იქნეს მთელი კაცობრიობის კეთილდღეობისათვის, იმის მაგივრად, რომ ემსახურონს ვიწრო კაპ. მრეწველთა წრის ეგოისტურ ინტერესებს, ისიც საზოგადოებისთვის კატასტროფიული შედეგებით.

სად არის გამოსავალი? თვით ზემო დასახსიათებული ტექნოლოგიური ანტაგონიზმი მიგვითითებს იმაზე, რომ გამოსავალი უნდა ვეძებოთ დისტრიბუციის, მოხმარების მოგვარებაში, შემოსავალის სამართლიანი და მიზანშეწონილი განაწილების პრობლემაში. ამაზე დღეს ბევრს სწერენ, ბევრს ფიქრობენ. უადგილობის გამო არ შეგვიძლია ამაზე გავჩერდეთ, მხოლოდ აღვნიშნავ მოკლეთ რამდენიმე ტიპიური აზროვნების შინაარსს.

ყველაზე უფრო საინტერესო და დასაბუთებულია ე. წოდ. ამერიკელი ტექნოკრატების თეორია. ტექნოკრატებმა ააფორიაქეს მთელი შეერთებული შტატების აზროვნება, რაც მით უფრო საინტერესოა, რომ ამერიკელს საერთოდ არ უყვარს თავის შეწუხება თეორიული ანალიზებით. ნიუიორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტში ომის გათავებისას გაიხსა ცალკე მეცნიერულ-მკვლეველი განყოფილება, ინჟ. ჰოვარდი სკოტის მეთაურობით შემდგარი ყველა დარგების გამოჩენილი მცოდნე ინჟენერების და პროფესორებისაგან. მიზანი ამ მეცნიერული დაწესებულების იყო შესწავლა შეერთებული შტატების მატერ. სიმდიდრის და ენერგიის წყაროების და ერთგვარი საწარმოვო გეგმის შედგენა. შეუდგენ საქმეს სრული მეცნიერული ობიექტივობით. არავითარი წინასწარი იდეოლოგია მათ ხელს არ უშლიდა. შეაგროვეს აუარებელი სტატისტ. მასალა, დიაგრამები და ათი წლის მუშაობის შემდეგ გამოუშვეს თავისი დასკვნები, რომელნიც წარმოადგენენ დაგროვილ ფაქტების მშრალს მეცნიერულ ინტერპრეტაციას. სხვათა შორის, მოყავთ შემდეგი მაგალითები: 1) ტექნიკური რაციონალიზაციის წინ ერთი მუშა ერთ წელიწადში დაამზადებდა 25 ტონა რკინას, 1929 წელში კი 4000 ტონას; 2) ახალი მანქანების შემოღების წინ ერთი მუშა დღეში დაამზადებდა 450 აგურს, ეხლა კი საშუალოთ 400.000 აგურს; 3) ფერმერს შეუძლია მანქანების საშუალებით გააკეთოს ერთ საათში იმდენი საქმე, რომელსაც წინეთ უნდებოდა 3.000 საათი; 4) ქალაქი ნიუ ჯერსეიში გაიხსნა ძაფის ფაბრიკა, რომელიც სრულ 24 საათს დღე და ღამე განუწყვეტლივ მუშაობს და არ სჭირდება არც ერთი მუშა, რადგან ფაბრიკას კანცელარიიდან «პრუჟინით» ამუშავებენ. არის მთელი რიგი ტექნიკური გამოგონებებისა, რომლების განხორციელება (მუდმივი წუმწუმა და სხვა) გამოიწვევს სათანადო წარმოების დარგების ლიკვიდაციას, უმუშევრობას. უმუშევართა რიცხვი შეერთებულ შტატებში უდრის 14 მილიონს. თუ გამოყენებული იქნა ყველა ტექნიკური მიღწევევები და პოტენციური რაციონალიზაცია დასრულებული იქნა—ამბობენ ტექნოკრატები,—უმუშევართა რიცხვი გადააცილებს 25 მილიონს.

ტექნოკრატები აცხადებენ, რომ ტექნოლოგიურმა უმუშევრობამ, ე. ი. მანქანის მიერ მუშის საწარმოვო პროცესიდან გამოყრამ წარმოშვა ისეთი პრობლემები, რომელთა გადაჭრა შეუძლებელია არსებულ ეკონომ. და სოციალურ მეთოდებით. მთელი ეკონ. კრიზისი იმაში მდგომარეობს, რომ ტექნიკის პროგრესმა რამდენიმე ათეული წლით გაუსწრო წინ საზოგადოების ორგანიზაციის პროგრესს; კატასტროფიულად იზრდება დისპროპორცია წარმოების სწრაფ მექანიზაციას და პოლიტიკური ორგანიზმის მიკიბულ-მოკიბულ განვითარებას შორის. ტექნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრატები აყენებენ კაცობრიობის წინაშე დილემას: ან ტექნიკური განვითარების ძალათ შეჩერება ან და სწრაფი, გაბედული პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნა; უკუაგდებენ არსებულ ფინანსურ სისტემას (კრედიტის, ფულის ფასების სისტემას) და ინდივიდ. ანარქიული წარმოების მაგივრად გვირჩევენ დაგეგმულ ეროვნულ ეკონომიკას, განაწილების მოწყობას ახალ ნიადაგზედ.—ფულის ადგილას ენერგიის ნამუშევარი ერთეულის საზომის შემოღებას. ტექნოკრატები სტატისტიკური გზით ამტკიცებენ, რომ თუ იქნა მათი სისტემა განხორციელებული, სრულიად კმარა 16 საათის სამუშაო კვირა, რომ შეერთებული შტატების ყველა მოქალაქემ იცხოვროს ათჯერ უკეთესად, ვიდრე დღევანდელი ცხოვრების სტანდარტია. ტექნოკრატების მნიშვნელობა იმაში არაა, რომ რამე სრულიად ახალი აზრი გამოთქვეს, არამედ იმაში, რომ ეს აზრი გამოითქვა ინჟენერების, ტექნიკოსების, ობიექტური მეცნიერების მიერ, მშრალი ციფრებით და საბუთებით. კონსერვატული, ლონდონის «Times» სწერდა ტექნოკრატების შესახებ: «ძირითათი პრობლემა, შექმნილი დღევანდელი ტექნოლოგიური» პროგრესით (ე. ი. ზედმეტი ნაწარმოების დაგროვება და უმუშევრობა) ეჭვს გარეშეა. ცნობილია, რომ ბევრი მოაზროვნე ამერიკელი, მათ შორის პრეზიდენტ რუზველტის ბევრი ეკონომიური მრჩეველიც ტექნოკრატების დასკვნების დიდი გავლენის ქვეშაა. შეერთებული შტატების მუშა კლასი, ტექნოკრატების მეცნიერულ გამოკვლევის ძალით უკვე თხოულობენ სამუშაო დროის რადიკალურ შემცირებას. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ბევრი სხვა სოციოლოგი და ეკონომისტი, თვით ჰუფერის კომიტეტიც იზიარებს ტექნოკრატების მთავარი დებულებების დიდ ნაწილს და მოითხოვენ რადიკალურ სოციალურ და ეკონომიურ რეფორმებს, რომ არ მოხდეს ცივილიზაციის სრული კატასტროფა».

გამოჩენილი ეკონომისტი ჰობსონ სწერს «მანჩესტერ გარდიან»-ში: «ვეთანხმები ამერიკ. ტექნოკრატებს, რომ უმთავრესი ნაწილი ეხლანდელი უმუშევრობის ინდუსტრიალურ ქვეყნებში არის რაციონალიზაციის შედეგი. ეს ტექნოლოგიური უმუშევრობა არ არის ახალი: ეკონომიური პროგრესი ყოველთვის მდგომარეობდა მუშა ხელის გამორიცხვაში საწარმოო პროცესიდან, მაგრამ ასეთი უმუშევრები პოულობდენ ადგილს ახალ დარგებში. თავისუფალ აღებმიცემობას არ შეუძლია ლიკვიდაცია უქნას ზედმეტ ნაწარმოებს, ეს ქრონიკული მოვლენაა. ყოველი ახალი ნაწარმოები ადამიანის ნამუშევარის უფრო და უფრო ნაკლებ ნაწილს წარმოადგენს. ცხადია, გამოსავალი უნდა ვეძებოთ შემოსავლის და მყიდველობითი ძალის ისეთ განაწილებაში, რომ ულარიბეს წრეებსაც მიეცეს საშუალება დაიკმაყოფილონ თავისი ნამდვილი მოთხოვნილებები. არ შეიძლება რთული მსოფლიო ეკონომ. მექანიზმის სტიქიაზე მიტოვება. რაციონალიზაციის მაგივრად საჭიროა ეკონომ. გეგმა როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო».

(დასასრული იქნება)

მ. უ.

ჩვენი კარლო

კიდევ ერთი მგლოვიარე მოგონება, ერთი სატირალი წელი!

შვიდი წლის წინად დავკარგეთ ქართველი ერის სიამაყე, მისი პირველი დამფუძნებელი კრების პირველი თავმჯდომარე—კარლო ჩხეიძე. მან ვერ აიტანა დაღუპულ სამშობლოზე მოზღვავებული უბედურება, ვერ შეურიგდა მტარვალთაგან ერის დაკვლას, მის გათელვას და... სიცოცხლეზე ხელი დაიდო.

შვიდი წლის წინად ჩაესვენა და სამუდამოდ დადუმდა უდიდესი ტრიბუნის ენა, ჯერ კიდევ გუშინ უზარმაზარ იმპერიის მესაჭის, სიცოცხლე. ვის არ ახსოვს კარლო დინჯი და ჩაფიქრებული, მკვეთრი გონების და ბასრათ მეტყველი; მისი მქუხარე გამოსვლები მეფის სათათბიროში, მისი იერიშები თვითმპყრობელობის ბჭეებზე. ამ გამოსვლებმა მსოფლიოში გაისროლეს კარლოს სახელი, როგორც ქართველის, რევოლუციცნერის და თავდადებული მებრძოლის.

კარლო უცხოეთშიაც იგივე კარლოა, მომქმედი და დაუღალავი. იგი ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადის და ყოველგან თავის ჩაგრულ ერს მეგობართ უძენს. დღე და ღამ მშობელ ქვეყანაზე ფიქრი, მისი დარდით დარდობა, მისი მწუხრით მწუხრობა—აი რა იყო კარლოს ხვედრი უცხოეთში, დევნილობაში, და კარლო დაეცა თავის პოსტზე დარდთა და ფიქრთა ჭიდილში.

ბოროტმა სძლია კეთილი. სიბნელემ ჩანთქა სინათლე. ტრაღედია ერის იქცა პიროვნების ტრაღედიათ. კარლო წავიდა ჩვენგან და თან წაიღო ჩვენი გული. მან დაგვიტოვა თავდადების მაგალითი, თავისი სული და სამშობლოს ურყევი სიყვარული. კარლოს სული ჩვენთანაა, მისი აზრები ჩვენსას გადახლართვია, შედუღებულა და რწმენის ემბაზში განბანილა. მისი უკანასკნელი ამოძახილი: «სამშობლოს მიხედეთ»-ო—ჩვენი ანდერძია სამუდამოდ და უცვლელი.

დღეს მსოფლიო ჰორიზონტზე შავი ღრუბლები წამოიშალენ, ჰაერი ქარიშხალით იყლინთება; მეხის გავარდნას ყველანი ელიან. ხოლო მსოფლიო ქარტეხილში, დიდი ქვეყნების შეჯახებაში პატარები ადვილად გაიჟყლიტებიან. ამიტომ გვმართებს დიდი სიფხიზლე და გამჭრიახობა, რომ ჩვენი ერი გადაურჩეს აბობოქრებულ ბრძოლების ტალღებს და სამშვიდობოს გავიდეს. ეს ასეც მოხდება, ამის თავდებია ქართველი ერის თავდადებული ბრძოლა, მის შვილთა მიერ დაღვრილი წმიდა სისხლი, რომელთა შორის ჩვენი კარლოს საყვარელი სახე განსაკუთრებით გვიღიმის და იმედს გვაძლევს. ვინ არ იცის, ღამეს დღე მოსდევს, ბნელს სინათლე, აღმართს დაღმართი და მონობას თავისუფლება! სადაც არის, ეს სანუკვარი ყამიც დადგება და მაშინ, ძვირფასო კარლო, იქ, ცის სივრცეში შენ გაიგონებ დიდების გუგუნს, რომლის ერთი ნაკადი შენკენაც ჩამოცურდება და მოგიტანს სანატრელ ამბავს: ერის თავისუფლების.

მანამდე კი ჩვენ ვდგევართ შენს მიერ დატოვებულ სადარაჯოზე. ვაგრძელებთ შენს გზას და საქმეს საბოლოო გამარჯვებამდე.

მ—ლი.

კვირას ამა ივნისის 18-ს ნაშუადღევის მეოთხე საათზე პარიზის პერლაშეზის სასაფლაოზე დიდძალი ქართველი საზოგადოების თანადასწრებით გადახდილ იქმნა სამოქალაქო პანაშვიდი კ. ჩხეიძის მოსაგონებლად. მეტად მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა ვლ. მგელაძემ.

წერილი ამერიკიდან

უკანასკნელ დღეებში აქაური პრესა ისევ ალაპარაკდა რუსეთის ცნობაზე. მოყვანილია პოლიტიკოსების აზრები ცნობის სასარგებლოდ (რასაკვირველია, ბევრია წინააღმდეგიც). დეპრესიამ ამერიკას შეაცვლევინა 15 წლის შეხედულება. მაგრამ საკვირველი ისაა, რომ ამასთან ერთად ნახავთ პრესის ფურცლებზე სარკაზმს და დაცინვას ბოლშევიკებზე, მათ მოქმედებასა და ქვეყანაზე.

შთაბეჭდილება ასეთია: ვიცით, ბოლშევიზმი დამღუპველია თავის ქვეყნისა, ვიცით, მტერია პროგრესისა და კულტურისა, მთელი კაცობრიობისა, მაგრამ შესაძლებელია ბოლშევიკებთან ვაჭრობა სასარგებლო გამოდგეს ამერიკისთვისო.

13 მაისის ნიუორკის «ტაიმსმა» მოწინავე წერილების განყოფილებაში 2 წერილი მოათავსა ასეთი სათაურით: 1) «რუსეთი სტოვებს მანჯურიას», 2) «კომუნიზმი ეთხოვება ჩინეთს». პირველში გაზეთი ამბობს, რომ ლიტვინოვის განცხადება მანჯურიის რკინის გზის შესახებ არის სენსაციონურიო. მანჯურიის გზის, რომელიც გაკეთებულია ნიკოლოზ მე-II მიერ ფრანგების ფულით, მიყიდვა რუსების მიერ იაპონელებზე ოხუნჯობა არ არისო. ეს ნაბიჯი გადადგმულია რუსების და არა იაპონელების მიერო. «შეტაკება იაპონიასთან სტალინს იმას მოუტანდა, რაც ნიკოლოზ მე-II-ს მოუტანა. ეს რკინის გზა საშიშია რუსეთისთვის და მისი ხელიდან გაშვება უკეთესია»-ო.

მეორე წერილში «ტაიმსი» ამბობს რომ მანჯურიის რკინის გზის «გაყიდვა» რუსეთის მიერ ნიშნავს რუსეთის კომუნიზმის დამარცხებას ჩინეთშიო. «კომუნისტების საქვეყნო რევოლუცია დიდი ხანია გაჰქრა ევროპაში და ახლა თვითონ რუსეთი ამბობს: «მშვიდობით შორეულო აღმოსავლეთოო»!

ამავე ნომერში რედაქტორის მიმართ დაბეჭდილია ლოიდ ჯორჯის ყოფილ მდივნის გ. ჯონსის წერილი, რომელიც თითქმის მთლად მოგვყავს. ის ამბობს: ჩემი დაბრუნებისას რუსეთიდან მარტის დამლევს განვაცხადე ბერლინში გაზეთებთან ინტერვიუს დროს, რომ სადაც არ მივედი რუსეთის სოფლებში, ყველგან მესმოდა ყვირილი: «პური არ არის, ვიხოცებითო!» აგრეთვე ვსთქვი, რომ შიმშილი სიკვდილს უქადის მილიონობით რუსეთის ხალხს. ვოლტერ დურანტიმ კი (ნიუორკის «ტაიმსის» კორესპონდენტია მოსკოვში) მაშინვე დეპეშები დაგზავნა, რუსეთში შიმშილობა არ არისო. დურანტიმ განაცხადა, რომ შეეკითხა საბჭოთა კომისარიატს და საელჩოს და გამოიტანა დასკვნა, თითქოს იქ «შიმშილი» არ იყოს, მხოლოდ სურსათის სერიოზული ნაკლულოვანებაა მთელ რუსეთშიო... არც სიკვდილია შიმშილისაგან, მხოლოდ გავრცელებულია სიკვდილი ავადმყოფობისგან რომელიც გამოწვეულია საჭმელის ნაკლებობით!..

ბ. დურანტიმ აგრეთვე განაცხადა, რომ მე თითქოს საყოფი ცნობები არ მქონდა ჩემი შეხედულობის გამოსათქმელად... და სხვა. ბ. დურანტის აქ მინდა მადლობა უძღვნა ამერიკელ და ინგლისელ სტუმრების დახმარების გაწევისთვის, მაგრამ გადაჭრით უნდა მოვახსენო: მე ვიცავ ჩემს განცხადებას, რომ რუსეთი განიცდის სასტიკ შიმშილს. უნდა მოვახსენო ბ. დურანტის, რომ ეს იყო ჩემი მესამე ყოფნა რუსეთში, რომ ოთხი წელიწადი ვსწავლობდი უნივერსიტეტში რუსულ ენას და ისტორიას. ჩემი განცხადება დამყარებული იყო უპირველესად ჩემი თვალით ნახულზე. უკანასკნელ იქ ყოფნის დროს დავიარე 20 სოფელი არა მარტო უკრაინის და შავი მიწის რაიონებისა, არამედ მოსკოვისაც. განსაკუთრებულ დროს ვანდომებდი იქ გაჩერებას და ღამეებს ვათენებდი გლეხების ქოხებში. რადგან ბ. დურანტი იხსენიებს საბჭოთა ოფიციალურ პირებს, ვისი სიტყვები რასაკვირველია საყურადღებო არ არის, მოგახსენებთ, რომ მე ვიმსჯელე რუსეთის მდგომარეობაზე იქ სხვადასხვა ქვეყნის ოცდაათამდე კონსულთან და დიპლომატთან და ყველა ერთხმად ეთანხმებოდა ჩემს შეხედულებას. მაგრამ მათ ნება არა აქვთ, გამოსთქვან თვისი აზრი პრესაში, მაშასადამე გაჩუმებულნი არიან. ცენზურის გამო რუსეთში მყოფი ჟურნალისტები დახელოვნებულნი არიან ქარაგმით, შეფარვით წერას და არა ნამდვილი სიტყვების ხმარებას. მაგ. შიმშილს ისინი უწოდებენ «სურსათის ნაკლებობას», «შიმშილისაგან სიკვდილს»—არა ნამდვილ სიკვდილს...» და სხვა.

მეორედ, ჩემი მოწმობა დამყარებულია რუსეთის გლეხებთან საუბარზე, რომლებიც ჩამოდიოდენ ქალაქებში პურის საშოვნელად რუსეთის სხვადასხვა კუთხეებიდან. მათი ნაამბობი ხალხის და საქონლის სიკვდილზე შიმშილისაგან საშინელი იყო. სხვა და სხვა პირების ნათქვამი ერთი მეორეს ემსგავსებოდა.

მესამედ, ჩემს შეხედულებას ამტკიცებდენ რუსეთში მყოფ გერმანელ კოლონისტების წერილები, სადაც ისინი ეხვეწებოდენ გერმანიაში მცხოვრებთ შველას. მათი ტიპიური წერილები ასეთი იყო: «ჩემი ძმის ოთხი ბავში დაიხოცა შიმშილისგან». «ჩვენ არა გვქონია პური უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში»... «თუ შველა არ მივიღეთ საზღვარ გარედან, ჩვენ არაფერი დაგვრჩენია სიკვდილის გარდა»... და სხვა.

მეოთხედ, მე მოვკრიფე ცნობები ჟურნალისტებისა და ტექნიკოსებისგან, ვინც იყვნენ რუსეთის სხვადასხვა კუთხეში. მაგალითად «მანჩესტერ გარდიან»-ში, რომელიც მეტისმეტ სიმპატიურად არის განწყობილი რუსეთის რეჟიმის მიმართ, დაიბეჭდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტის 25, 27 და 28 ნომრებში წერილები (არ გაუვლიათ ბოლშევიკების ცენზურის ქვეშ) ჩრდილო კავკასიაში მყოფ კორესპონდენტის, რომელიც სწერდა: «რომ ვთქვა ამ რუსეთის საუკეთესო ნოყიერ კუთხეში შიმშილობაა, ეს არ იქნებოდა მთელი სიმართლე, რადგან აქ არის არა მარტო შიმშილობა არამედ ომი, მილიტარული ოკუპაცია»... უკრაინაზე ის სწერს: «ხალხი შიმშილით იხოცება»...

ჩემი უკანასკნელი მოწმობა დამყარებულია გლეხების გადმოცემულ ფაქტებზე. მე ველაპარაკე რამდენიმე ასს გლეხს. ყველას თითეულად, კერძოდ და ჩავიწერე მათი გადმოცემული, რაიც საშინელი განაჩენია ბოლშევიკების მოქმედებისა, მათი აგრიკულტურული პოლიტიკისა.

გლეხებმა სთქვეს გადაჭრით, რომ შიმშილობა ახლა უარესია, ვიდრე იყო 1921 წელში, რომ გლეხობა იხოცება შიმშილისგანო და სხვ.

ბ. გ. ჯონსი თავის წერილს ასე ათავებს: «ნება მიბოძეთ მოულოცო საბჭოთა საგარეო კომისარიატს დახელოვნება იმის დამალვაში, რაც რუსეთში ხდება! მოსკოვი რუსეთი არ არის. მოსკოველების გარვგნობა ვერ დამალავს ნამდვილი რუსეთის მდგომარეობას»-ო.

ნაური.

ალექსი მდივნის დაქორწინება

ამა ივნისის 22-ს დიდი ზეიმით ჯვარი დაიწერა პარიზში ჩვენმა თანამემამულემ ალექსი მდივანმა, ჩვენში კარგად ცნობილ გენერალ ზაქარია მდივნის ვაქმა, ამერიკელ ქალზე ბარბალე ჰატენზე. ამ დაქორწინებას წინ უძღოდა დიდი ახმაურება ამერიკის და ევროპის პრესაში. საქმე ისაა, რომ ბ. ჰატენი ერთი უმდიდრეს ქალთაგანია მთელ ამერიკაში და ამავე დროს იშვიათი სილამაზის და მისი ხელის მთხოვნელნი იყვნენ ბევრნი ფრიად წარჩინებული პირნი.

მაგრამ ყველაზე ბედნიერი აღმოჩნდა ქართველი ალექსი მდივანი, რომელიც ახალგაზდა ქალის გულმა აირჩია მეუღლედ.

ქორწილს დაესწრენ გარდა ნათესავების და ქართველობისა, პარიზის წარჩინებულ წრეების მრავალნი წარმომადგენელნი და საგანგებოთ ამერიკიდან და ინგლისიდან ჩამოსული ცნობილი პირები. ფრანგულ, ინგლისურ და ამერიკულ გაზეთებში დაიბეჭდა ფართო ცნობები როგორც ქორწილის ისე საქართველოს შესახებაც.

ვუსურვებთ ახლად ჯვარდაწერილებს სრულს ბედნიერებას და იმედს გამოვსთქვამთ, რომ ისინი იქნებიან ერთგულნი და თვალსაჩინო წევრნი ჩვენი ეროვნული ოჯახისა და არ მოაკლებენ თავის ერს ყურადღებას და სამსახურს.

26 მაისი პარიზში

პარიზში მყოფმა მრავალმა ქართველმა მოიყარა თავი ისტორიული დღის აღსანიშნავად და სახეიმოდ. დარბაზში ტევა არ იყო, როცა საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის თავმჯდომარემ ბ-ნმა გიორგი ჟურულმა სახეიმო სხდომა გახსნა. ქართველმა გუნდმა დაიწყო «დიდება», რომელსაც ფეხზე ამდგარი საზოგადოება თვითონ აჰყვა. ბ-ნ ჟურულმა ჯერ ფრანგულად და შემდეგ ქართულად მიმართა სიტყვით საზოგადოებას 26 მაისის დღის მნიშვნელობის შესახებ. გ. ჟურულის სიტყვის შემდეგ მ. მუსხელიშვილმა გააკეთა მოხსენება საქართველოს საკითხისა და კავკასიის კონფედერაციის შესახებ (ეს მოხსენება დაიბეჭდება შემდეგ ნუმერში).

სიტყვებს მოყვა კონცერტის განყოფილება, ბ-ნი ნანობაშვილი მღეროდა ქართულ სიმღერებს, რაც საზოგადოებამ რამდენიმეჯერ გაამეორებინა. ავნატამოვის ასულმა ფრიად მოხდენილად შეასრულა ქართული რომანსები და რაც მოულოდნელი იყო, საღამოზე მობრძანდა ორი ფრანგი მომღერალი ქალი, რომელთაც გვიმღერეს შესანიშნავი დუეტი, მათ საზოგადოებამ დიდი ოვაცია გაუმართა. შემდეგ დაიწყო ლეკური,—ქართული ადათით დამუშავებული ეს ცეკვა მოხდენილად და კოხტად შეასრულა ქ ბ. დავრიშაშვილმა; ლეკური იცეკვა აგრეთვე ერთმა ინგლისელმა ასულმა,—ეს ისე მოულოდნელი იყო და ცეკვავდა იგი ისე ლამაზად, რომ მას რამდენჯერმე გაამეორებიეს ცეკვა. გვეწვივნენ აგრეთვე ჩვენი მეზობლები მთიდან, რომელთაც (ქალმა და კაცმა) შესანიშნავათ შეასრულეს «ნაურსკი»,—უკრავდა თარი,—ეს ჩვენი ცეკვისათვის, მაგრამ აგრეთვე ჯაზიც, რათა აქაური ცეკვითაც ესიამოვნა ხალხს.

ამ საღამოს დაესწრენ ყველა მეზობელთა წარმომადგენლები და ფრანგებიც. ხალხი მეტად ნასიამოვნები დაიშალა.

N.

26 მაისი პრაღაში

26 მაისს აქ გაიმართა დიდი სახეიმო სხდომა ჩვენი დამოუკიდებლობის წლის თავის აღსანიშნავათ და პატივსაცემლათ. ეს მრავალრიცხოვანი კრება, რომელსაც დაესწრენ ჩეხიის, უკრაინელების, ბელორუსების, სომხების, ყაზახების და რუსების პოლიტიკურ-კულტურულ საზოგადოებათა წარმომადგენელნი, ჭეშმარიტათ გადაიქცა ბრწყინვალე პოლიტიკურ მანიფესტაციათ საქართველოს და საბჭოთა კავშირში მომწყვდეული ერების სასარგებლოთ. თავმჯდომარეობდა მას რესპუბლიკის სენატის თავმჯდომარე ფრ. სოუკუპი.

არზ. ემუხვარი მშობლიურ ენაზე მიმართავს მილოცვით თანამემამულეებს და მიესალმება სტუმრებს. ქ-ნ ნ. აიოლოს მიერ შესრულებულ იქნა ეროვნული ჰიმნი. ემ. ლომთათიძე აკეთებს ვრცელ მოხსენებას იმ ბრძოლების შესახებ, რომელსაც გოლგოთად გადაქცეული საქართველო ეწევა შინ, და გარეთ კი მის საერთაშორისო უფლების დასაცავათ და საზოგადოებრივი აზრის მოსაპოვებლათ მოღვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წეობენ მისი ეროვნული მთავრობა ყორდანიას მეთაურობით და მის გარშემო შემოკრებილი ქართული ემიგრაცია—ერთგულნი შვილნი წამებული ქვეყნის. აღნიშნავს შესაფერ მიღწევებს საზოგადოებრივი აზრის მოპოების სფეროში და მას თანდათან გაფართოებაში. ეს მიგვაჩნია ჩვენ, ამბობს ის, ერთ-ერთ ფაქტორათ, რომ ჩვენმა ხალხმა ხელახლა მოაწყოს თავისი ცხოვრება 26 მაისის საფუძველზე. ამიტომაა, როგორც იქ ჩვენ სამშობლოში, ისე აქ უცხოეთში, ჩვენ ყველა დიდი ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს ჩვენი მტერ-მოყვრის გამოსვლებს და ვიწყართ მ.ს გულის ფიცარზე. მივესალმებით რა დღეს აქედან ჩვენს ერს, ვუთვლით მას: ქართველო ერო, დღევანდელ შენს ბრძოლაში შენ არ ხარ მარტო, არ ხარ მიტოვებული, შენთან არიან შენი ერთგული მოკავშირენი, შენი მეგობრები, შენთვის მუშაობს ისტორია, შენ გაიმარჯვებ; «დადგება დრო, როცა ხელახლა თვით შენ იქნები შენი საქმეების გამძღოლი» (ამ სიტყვებით მიმართა სამასი წლის წინეთ ავსტრიასან ბრძოლაში თავის ქვეყნის უდიდესმა შვილმა ამოს კამენსკმა, როგორც ემიგრანტმა, დამარცხებულ ჩეხიას და ამ სიტყვების მოგონებით დაიწყო პირველი მიმართვა (მანიფესტის) პრეზიდენტმა მასარიკმა განთავისუფლებულ ქვეყნისადმი).

სიტყვას ამბობს ფრ. სოუკუპი, რომელიც რამდენიმეჯერ იქნა შეწყვეტილი მხურვალე ტაშით. ნება მომეცით, იწყებს ის, მივესალმო საერთოთ ამ კრებას და კერძოთ ქართველებს საქართველოს პრეზიდენტ ნ. ყორდანიას სახელით. აი ეს არის დავბრუნდი პარიზიდან, სადაც მე მომეცა საშუალება შევხვედროდი ამ იშვიათ ადამიანს. მე მასთან ერთათ შევხვდი კიდევ ჩემს მეგობრებს ჩხენკელს და გვარჯალაძეს. წაუშლელი დარჩება ეს შეხვედრა ჩემს მეხსიერებაში. ჩემი მხურვალე სურვილია რომ მომესწრას დღე, როცა ჩემ მეგობარ ქართველებს ვნახავ იქ, თავისუფალ საქართველოში. გთხოვთ კიდევ მიიღოთ სალამი და მილოცვა დღევანდელ დღეს ამ ჩემი დიდათ პატივცემული მეგობრებისაგან. შემდეგ ორატორი ეხება დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობას, ჩერდება საბჭოთა რუსეთის კატასტროფიულ მდგომარეობაზე, რომელიც ართმევს მას საშუალებას ღირსეულათ დაიცვას თავის ქვეყანა და პრინციპები (ორატორს სახეში აქვს საბჭოების და ჰიტლერის ურთიერთობა). ის გამოთქვამს იმედს, რომ როგორც საქართველოს, ისე კავკასიის ერებს კვლავ დაუბრუნდება თავისუფლება.

სიტყვებით და მილოცვებით მიმართავენ პრეზიდიუმს სტუმრები—რომელთა შორის აღვნიშნავთ განსაკუთრებით რუსის ვ. ჩერნოვის და უკრაინელის გრიგორიევის (სოც. რევ.) გამოსვლას. პირველი კატეგორიულათ და დამსწრე რუსების საყურადღებოთ აცხადებს—რომ არ არის დემოკრატია, თავისუფლება და სოციალიზმი ეროვნული თვითგამორკვევის გარეშე; თუ არ არის თავისუფალი პიროვნება და ერი—ყოველნაირი რეჟიმი გადაიქცევა ბოლშევიკურ ყაზარმათ. ვისაც არ ყოფნის გაბედულება ეს იწამოს და განაცხადოს—ტყვილათ ნუ ჩემულობს ნურც სოციალისტობას, ნურც დემოკრატობას. უდიდესი გერცენი არ შეუშინდა პოპულიარობის დაკარგვას და აშკარათ დადგა პოლონეთის მხარეზე და მოუწოდებდა რუსებს პოლონეთის აჯანყების დასახმარებლათ.

გრიგორიევი კი მოუწოდებს უკრაინელებს გაიხადონ ნიმუშათ ქართველები, რომლებიც გარეშე მტერთან ბრძოლაში არიან ერთათ, ერთ ფრონტში, აქვთ ერთი ორიენტაცია. ეს არის ორიენტაცია საქართველოზე და მხოლოთ საქართველოზე. ჩვენ კი საამწუხაროთ, ამბობს ის, ვერ მოგვიხერხებია ასეთი ფრონტის შედგენა, ასეთი გაერთიანება და გვაქვს მთელი რიგი ორიენტაციების. ქებათა შესხმის შემდეგ ორატორი უსურვებს საქართველოს მისი ბრძოლის მალე დაგვირგვინებას.

თავმჯდომარე საბოლოო სიტყვაში ამბობს: იმედია ნებას მომცემთ, რომ გაუგზავნოთ აქედან სალამი თქვენს ნოე ყორდანიას. და ჩვენ ძველ მებრძოლს თომა მასარიკს. კრება ფეხზე ადგომით და ოვაციით ადასტურებს თავმჯდომარის სურვილს.

მ.ლ.

ერთა ლიგის

დამხმარე ასოციაციათა საერთაშორისო კავშირის მეჩვიდმეტე კონგრესი.

ეს კონგრესი შესდგა წელს მიმდინარე ივნისის დასაწყისში შვეიცარიის პატარა ქალაქ მონტრეში ცნობილ ლორდ სესილის თავმჯდომარეობით. შვიდი დღის განმავლობაში ფრიად საინტერესო და ძლიერ ცხარე კამათს ჰქონდა ადგილი.

წამოიჭრა განსაკუთრებული სიმწვავით გერმანიაში მომხდარი ამბები. ეს შეეხებოდა უმთავრესათ იქ ებრაელებისათვის შექმნილ მდგომარეობას. წამოყენებულ იქნა დიდი ბრალდებები და მოითხოვდენ აშკარათ მსჯავრის დადებას რეზოლიუციის მიღებით. ცხადია, მოკლეთ რომ სთქვათ, ასეთ კონგრესზე არც ებრაელების გადაჭარბებული ბრალდებები და არც გერმანელების ვეტო რეზოლიუციის წინააღმდეგ დაშვებული არ იქნებოდა. მაგრამ ღირსეული რეზოლიუცია მაინც იქნა მიღებული, რომლის ძალით სპეციალური კანონები უნდა გაუქმდეს და ლტოლვილებს დახმარება გაუწიონ.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა კონგრესის მიერ მიღებული ორი რეზოლუცია: ერთი შეეხება საბჭოთა კავშირში არსებულ ძალდატანებითს მუშაობას, რომლის მიღება შარშან პარიზში ინგლისელებმა და ჰოლანდიელებმა ჩაშალეს იმპერიალისტური მოსაზრებით, რადგან ძალდატანებითი მუშაობა თურმე საჭირო ყოფილა არა მარტო წითელი იმპერიალიზმის ტირანიისათვის, არამედ კოლონიებშიც და რასაკვირელია მთელი კაცობრიობის სადღეგრძელოთ! მაგრამ ერთი რამის მოგონებამ წელს იმოქმედა და რეზოლუცია უდისკუსიოთ ერთხმათ მიიღებია: დედამიწის «ერთი მეექვსედი» კოლონია არ არის, რომ იქ არიან ისეთი ერებიც, რომელთაც ევროპიელებზე ადრე ჰქონდათ თავიანთი «მე». დავსძენთ, რომ ეს რეზოლუცია უკრაინის ასოციაციას ეკუთვნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე შეეხება ადამიანის მინიმალურ უფლებებს. ეს რეზოლუცია წარმოსდგა რუსულ ასოციაციის სახელით. მისი ავტორია ცნობილი იურისტი მანდელშტამი. მის ირგვლივ გაიმართა სასტიკი კამათი, მას აღმოაჩნდა შეურიგებელ მტრებათ იგივე კოლონიალური ქვეყნები ინგლისი და ჰოლანდია და მობოლშევიზანო ბელგიელი იურისტი როლენი, რომელიც თვით იყო პოლიტიკურ და იურიდულ კომისიის თავმჯდომარე. თავმჯდომარის წინადადებით კრებამ სარედაქციო კომისია აირჩია, რომელშიაც თვით თავმჯდომარე შევიდა. ცხარე კამათი გაიმართა კომისიის მოხსენების შემდეგაც. ძლიერი სიტყვა წარმოსთქვა საკასაციო პალატის წევრმა დიუმამ, სადაც ქართველებიც გრძნობიერათ მოიხსენია და რეზოლუცია შესწორებით იქნა მიღებული, ერთა ლიგას ავალებს მოიწვიოს სპეციალური კონფერენცია ყველა სახელმწიფოების ადამიანის უფლებათა დასაცავ კონვენციის შესამუშავებლად.

დასასრულ საჭიროა აღინიშნოს ის ერთსულოვანი თანაგრძნობა, რომლითაც კონგრესმა მოისმინა მოკლე მოხსენება ქართული ასოციაციის წარმომადგენლის. შავიშვილმა თავის სიტყვაში მოიგონა თავმჯდომარე ლორდ რობერტ სესილის წინასწარმეტყველური სიტყვები, წარმოთქმული ერთა ლიგის პირველ ყრილობაზე, თუ დაუყონებლივ არ მივიღებთ საქართველოს წევრათ, ბოლშევიკური იმპერიალიზმი თავს დაესხმება და დაიპყრობსო. მან უამბო კრებას, რა ძნელ პირობებში უხდება მუშაობა ქართულ ასოციაციას, რომ ერი უფლება აყრილია და იბრძვის უფლების მოსაპოვებლათო. და როცა თავმჯდომარემ სთხოვა ასოციაციის მოღვაწეობაზე გველაპარაკეთ და არა საერთო პოლიტიკაზეო: ხ. შავიშვილმა მიუგო საერთო ტაშისცემის ქვეშ (განსაკუთრებით ფრანგების და ინგლისელების): ჩვენ ყველა ვიბრძვით მშვიდობიანობისათვის, მაგრამ ეს ბრძოლა უნაყოფო იქნება, სანამ ერია დაჩაგრული, რადგან მშვიდობიანობა შეუძლებელია თავისუფლების გარეშეო. ყველა კონგრესზე მიღებული რეზოლუციები წარედგინა ერთა ლიგას 8 ივნისს განსაკუთრებული დელეგაციის საშუალებით.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნას

25 ივნისს, ჩვენი ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის გარდაცვალების წლის თავზე მის საფლავზე გადახდილი იქმნა პანაშვიდი. პანაშვიდი გადაიხადა მღ. ფერაძემ, გალობდა ქართული გუნდი. პანაშვიდს ქართველი საზოგადოება ბლომად დაესწრო. პანაშვიდის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ფრ. წულუკიძემ. ის სავსებით მოხდენილი იქნებოდა, რომ ორატორს ნაწილობრივ ჯგუფური პროპაგანდისთვის არ გამოეყენებინა. როგორც სჩანს ქართველ ემიგრაციის წრეებში ყველას არ აქვს კიდევ შეგნებული, თუ რას ნიშნავს ეროვნული გმირი და როგორი ხასიათის სიტყვა და მოგონება შეეფერება მის საფლავს. სამწუხაროა, მაგრამ ამ საგანზე მსჯელობის გამართვა დაგვჭირდება, რომ მომავალში მაინც არ გამეორდეს მსგავსი რამ.

ქართული საზოგადოება ერთა ლიგისთვის

11 ივნისს შესდგა საზოგადოების საჯარო კრება, რომელზედაც ბ. კ. გვარჯალაძემ წაიკითხა მოხსენება: საქართველოს საკითხი, ერთა ლიგა და ინტერნაციონალი. მოხსენება ვრცელი იყო და შინაარსიანი. კამათში ბევრმა მიიღო მონაწილეობა და ის არ დასრულებულა. კრების გაგრძელება მოხდება 2 ივლისს, რომელზედაც ეს კამათი დასრულდება. კრების ანგარიშს შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

კავკასიის პრობლემა

გამოვიდა რუსულ ენაზედ დ. ვაჩნაძის წიგნაკი «კავკასიის პრობლემა». ის წარმოადგენს მოხსენებას, რომელმაც დიდი გამოხმაურება გამოიწვია რუსულსა და სომხურ პრესაში. მის შინაარს შემდეგ შევეხებით. წიგნაკის შეძენა შეიძლება გამომცემელ დ. ხელაძესთან: 50, rue Fobourg du Temple. Paris.

ფრანგულ-კავკასიური სტამბა

30 მაისს პარიზში გაიხსნა «ფრანგულ-კავკასიური სტამბა» დ. ხელაძის მეთაურობით. სტამბა მშვენივრად არის მოწყობილი და შეუძლია შეასრულოს ყოველი სამუშაო როგორც ევროპიულ ისე კავკასიურ ენებზე. მოთავსებულია Fobourg du Temple 50.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო,

უმორჩილესათ გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა, გამოუცხადო მთავრობის თავმჯდომარეს ბ-ნ ნოე ჟორდანიას და ყველა მათ, ვინც კეთილ ინება და თანამიგრძნო პირადათ, წერილობით თუ პანაშვიდზე დასწრებით (2 მაისს ქ. ვარშავაში) საყვარელი დის—ლიდიკოს—უდროოთ დაკარგვით გამოწვეულ ამ ჩემთვის უბედურობის დროს (გარდაიცვალა ხაშურში მიმდინარე წლის 9 მარტს და დასაფლავებულ იქნა ლანჩხუთში 14 მარტს).

კოტე იმნაძე.

განცხადება

1921 წელს დავკარგე შვილი, 17 წლისა, მეშვიდე კლასის მოწაფე გიორგი გოდერძიშვილი.

ვთხოვ ყველას, თუ ვინმემ გაიგოს რამე მის შესახებ, მაცნობეთ ამ მისამართით:

ტფილისი, მალაკნის ქუჩა № 25.

კონა გოდერძიშვილი.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*. Le Gérant : A. LARGILLIÈRE.